პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 25 დეკემბერი, 1945 წ. № 254 (7469). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მაღალი ორგანიზებულობა ზამთარში მრეწველობის წარმატებით მუშაობის საწინდარია—„პრავდის" 24 დეკემბრის მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენი ქვეყანა ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის (1-ლი გვერდი).
მ. მოსკალევი—ბოლშევიკების ტამერფორსის კონფერენციის 40 წლისთავი (მე-2 გვერდი).
ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).
გ. ფოფხაძე—ხაშურის რაიონი ახალი წლის წინ (მე-2 გვერდი).
საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავისათვის (მე-3 გვერდი).
ა. ფალავა—საქართველოში რუსული თეატრის არსებობის 100 წლისთავი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები: დეპეშები (მე-4 გვერდი)).

მაღალი ორგანიზებულობა ზამთარში მრეწველობის წარმატებით მუშაობის საწინდარია

საბჭოთა მრეწველობამ ომის წლებში სერიოზული გამოცდა ჩააბარა. ჩვენი მრეწველობის კადრებმა ჭეშმარიტად გიგანტური მუშაობა გასწიეს წარმოების ყველა დარგის საომარ ყაიდაზე გარდასაქმნელად. ომის დროის ვერავითარმა სიძნელემ სოციალისტური ინდუსტრიის მუშაკებს ხელი ვერ შეუშალა ფრონტის შეკვეთების შესრულებაში. შეიძლებოდა მრავალი მაგალითის მოყვანა, როცა ამა თუ იმ ქარხანასა ან ფაბრიკაში მდგომარეობა თითქოს გამოუვალი იყო, მაგრამ ბოლშევიკური წრთობის ადამიანები არ იბნეოდნენ, პოულობდნენ გზებს სიძნელეების დასაძლევად და საბოლოო ანგარიშით აღწევდნენ იმას, რასაც სამშობლო მათგან მოელოდა და მოითხოვდა.

ახლა, მშვიდობიან პირობებში, როცა ჩვენ სწრაფად უნდა აღვადგინოთ ყოველივე, რაც მტერმა დაანგრია, სრული სიმძლავრით ავამუშაოთ ქარხნები, ფაბრიკები, ელექტროსადგურები, ქვანახშირის შახტები და მაღაროები, როცა ჩვენმა ქვეყანამ მომავალ მეოთხე ხუთწლედში მნიშვნელოვნად უნდა გადააჭარბოს წარმოების ომამდელ დონეს, სამეურნეო ორგანიზმის ყველა რგოლი უნდა მუშაობდეს უფრო შეწყობილად, ზუსტად და უნაკლოდ, ასრულებდეს საწარმოო დავალებებს.

თუ თვალს გადავავლებთ გზას, რომელიც ჩვენმა მრეწველობამ განვლო მას შემდეგ, რაც მან შესაძლებლობა მიიღო ფართოდ შესდგომოდა ყოველივე იმის აღდგენას, მტერმა რომ დაანგრია, გზას, რომელიც განვლილია ომის დამთავრების შემდეგ, — უნდა აღვნიშნოთ, რომ ცოტა წარმატებანი როდია მიღწეული სახალხო მეურნეობაში. დიდი შრომა დაიხარჯა იმაზე, რომ აღედგინა ნანგრევებად ქცეული სამხრეთის მთელი რიგი მეტალურგიული და კოქსქიმიური ქარხნები. დიდი ძალ-ღონე დაიხარჯა, რომ აღორძინებულიყო დონბასის ქვანახშირის შახტები. აღდგენილია რკინიგზის მაგისტრალები ათასობით კილომეტრზე. პროდუქციის მიცემა იწყეს მანქანათმშენებელმა ქარხნებმა, შაბუნი, საფეიქრო და კვების მრეწველობის საწარმოებმა, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ ნანგრევებს წარმოადგენდნენ. მიღწევები არის. მაგრამ გადასაწყვეტი გვაქვს კიდევ ბევრი ამოცანა. და საჭიროა საფუძვლიანად ვიმუშაოთ, რათა მოვიშუშოთ ომით მოყენებული ყველა ჭრილობა, რათა სახალხო მეურნეობის უკლებლივ ყველა დარგი, ჩვენი დიდი სამშობლოს მთელს ტერიტორიაზე, მუშაობდეს მთელი სიმძლავრით, ვითარდებოდეს ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი აყვავებისა და განმტკიცების გეგმების სრული შესაბამისობით.

ზამთრის პირობებში მუშაობა, ჩვენი სამეურნეო კადრებისაგან, პარტიული ორგანოებისაგან მოითხოვს ინიციატივას, მაღალ ორგანიზებულობას და, რაც მთავარია, იმის უნარს, რომ გაითვალისწინონ სიძნელეები და დროზე აღკვეთონ ისინი. ზამთრის პირობებში მუშაობის ერთგვარი სირთულე ააშკარავებს, რომ საბჭოთა სამეურნეო მუშაკების ერთ ნაწილს ყოველთვის არ შეუძლია გაითვალისწინოს ყველაფერი, რაც ქარხნების, რკინიგზის მაგისტრალების და სხვათა შეუფერხებელი მუშაობისათვის საჭიროა თოვლის ზვავების, ყინვების, სათბობისა და ნედლეულის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ სიძნელეთა პირობებში.

„პრავდის" კორესპონდენტი ვოროშილოვგრადიდან გვატყობინებს, რომ ზამთრის პირობებში მუშაობისათვის არ მომზადებულან არც ჩრდილო-დონეცის რკინიგზა, არც „ვოროშილოვგრადუგოლის" და „დონბასანტრაციტის" კომბინატების შახტები. დეკემბრის პირველ დეკადაში გზის ვოროშილოვგრადის, პოპასნიანის და დებალცევოს განყოფილებების 63 სადგურიდან მხოლოდ ექვსმა შეასრულა ქვანახშირის დატვირთვის გეგმა. ვოროშილოვგრადის ოლქში არადამაკმაყოფილებლად ტვირთავდნენ ქვანახშირს. რკინიგზელებისა და ქვანახშირის ტრესტების სატრანსპორტო ორგანიზაციების არაზუსტმა მუშაობამ გამოიწვია ის, რომ ჩვენი ქვეყნის ელექტროსადგურებსა და საწარმოებს ჩრდილო დონეცის გზის მარტო სამმა განყოფილებამ დააკლო ათობით ეშელონი ქვანახშირი. განსაკუთრებით ცუდად მუშაობს „დონბასანტრაციტის" კომბინატი.

შეეძლოთ თუ არა ვოროშილოვგრადის ოლქის ქვანახშირის ტრესტების ხელმძღვანელებს და ჩრდილო-დონეცის გზის განყოფილებათა უფროსებს თავიდან აეცილებინათ და მით უმეტეს აღმოეფხვრათ ჩამორჩენა ქვანახშირის დატვირთვაში? დიახ, შეეძლოთ. ჯერ-ერთი, მათ ბევრი დრო დაჰკარგეს, რომლის განმავლობაში შეიძლებოდა კარგად მომზადება და ყოველივეს მომარაგება ზამთრის პირობებში სამუშაოდ. მათ ეს არ გააკეთეს. ხოლო ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები დროზე არ ჩასწვდნენ, არ ჩაერივნენ საქმეში. მეორე, ახლაც არის შესაძლებლობა იმისათვის, რომ გამოსწორდეს შექმნილი მდგომარეობა, მაგრამ ამ შესაძლებლობას სუსტად იყენებენ. ვაგონებს თანაბრად არ აწვდიან. ღამით დატვირთვა შეწყვეტილია. დაშორებული პუნქტებიდან ქვანახშირი ცუდად გამოაქვთ. დამტვირთავ სადგურებზე შემცირებულია სამუშაოთა ფრონტი. დიდია დატვირთვის დროს ვაგონების მოცდენა.

ზამთარი ეს-ეს არის დაიწყო. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რომ უზრუნველვყოთ ელექტროსადგურების, მეტალურგიული და კოქსქიმიური ქარხნების შეუფერხებელი მუშაობა, მთლიანად და თავის დროზე მოვამარაგოთ მრეწველობა სათბობითა და ნედლეულით. თვითეული სამეურნეო მუშაკის მუშაობა გამსჭვალული უნდა იყოს მაღალი გამრჯელობით, თაოსნობით. თუ საწარმოს ხელმძღვანელი ხედავს, რომ მოსალოდნელია საწარმოო რიტმის დარღვევა, მან წინასწარვე უნდა იზრუნოს, რათა არ დაუშვას ეს. ქარხნის, ფაბრიკის ან ელექტროსადგურის დირექტორი კი არ არის კარგი, რომელიც წამდაუწუმ—თუნდაც წარმატებით — ეწევა გამოვლინებული შეცდომებისა და ნაკლოვანებების აღკვეთას, არამედ ის, რომელსაც შეუძლია მოაწყოს რიტმული მუშაობა წარმოებაში, წინასწარ უზრუნველჰყოს მისთვის მინდობილი საწარმო სათბობით, მასალით, ნედლეულით, რომელიც თავის კოლექტივს წარმართავს ეკონომიის, ხელით მუშაობის მექანიზაციის და ტექნიკური პროგრესის გზით. სწორედ ასეთ სამეურნეო მუშაკზე შეიძლება ითქვას, რომ იგი სავსებით შეეფერება თანამედროვე მოთხოვნებს.

პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან ფხიზლად ადევნონ თვალყური თავიანთი საწარმოების მუშაობის ტემპს, ჩასწვდნენ მათს მუშაობას არა მარტო მთლიანად გეგმის წარმატებით შესრულების თვალსაზრისით, არამედ იმ თვალსაზრისითაც, თუ როგორ სრულდება ცალკე მომხმარებელთა შეკვეთები. მაგალითად, უკრაინის კ. პ. (ბ) ხარკოვის საქალაქო კომიტეტი, ნამდვილად რომ ჩაჰკვირვებოდა მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის ტურბოგენერატორების ქარხნის საქმიანობას, იგი შესძლებდა იმის თავიდან აცილებას, რომ ამ ქარხანამ ჩაშალა სატურბინო ნიჩბების ჩაბარება კაშირის ელექტროსადგურისათვის, რომელიც ამის გამო 17 ათას კილოვატ ელექტროენერგიას ნაკლებს იძლევა.

ზამთრის პერიოდის სიძნელეები არ შეიძლება ჯეროვნად არ შევაფასოთ, მაგრამ არ შეიძლება მათს წინაშე უკან დავიხიოთ. ტემერევის, სვერდლოვსკის, ჩკალოვის და სხვა ოლქებში პარტიული ორგანიზაციები ტრანსპორტს არსებითად ეხმარებიან, ეს პარტიული ორგანიზაციები ოპერატიულად ეხმარებიან რკინიგზებს, გამოჰყოფენ ადამიანებს ლიანდაგების თოვლისაგან გასაწმენდად, არ უშვებენ იმ ტვირთების გადაზიდვის შეფერხებას, რომლებიც მიდიან მეტალურგიულ ქარხნებში, ელექტროსადგურებში, შემოზიდული ნედლეულით მომუშავე მომხმარებლებთან. მათი მაგალითის მიხედვით სხვა პარტიულმა ორგანიზაციებმაც, კერძოდ კუიბიშევის, ბაშკირეთის პარტიულმა ორგანიზაციებმაც მეტი ენერგია და მონდომება უნდა გამოიჩინონ, რომ არ დაუშვან ტრანსპორტის მუშაობის შეფერხება თავიანთი ოლქების ტერიტორიაზე.

ჰიტლერელმა ოკუპანტებმა ჩვენს სამშობლოს უდიდესი ზარალი მიაყენეს. უნდა ვიმუშაოთ დაუღალავად, გადავლახოთ მრავალი სიძნელე, რათა ავაღორძინოთ ყოველივე ის, რაც ჩვენ ომამდე გვქონდა, გადავაჭარბოთ ამ დონეს და ვიაროთ წინ.

ჩვენ საკმაოდ გვაქვს საშუალებები და ძალები, რომ სავსებით შეიარაღებულმა ვიაროთ შემდგომი სამეურნეო-ეკონომიური აყვავების გზით, რომ განვავითაროთ მრეწველობა, რომ უხვად მივცეთ ჩვენს ქვეყანას ყველა სახის ნაწარმი და პროდუქცია, გავაუმჯობესოთ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. ჩვენი კადრების დაუცხრომლობა და ბოლშევიკური ენერგია, დაკისრებული საქმისათვის თვითეული მუშაკის ზუსტი პასუხისმგებლობა იმის საწინდარია, რომ ჩვენი მრეწველობა მომავალშიც იმუშავებს ორგანიზებულად, რიტმულად და ღირსეულად შეასრულებს დასახულ ამოცანებს.

„პრავდის" 24/XII მოწინავე

ი. ბ. სტალინმა მიიღო ბ-ნი ბირნსი

23 დეკემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ბ-ნი დ. ბირნსი.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ვ. ა. ჰარიმანი.

ი. ბ. სტალინმა მიიღო ბ-ნი ბევინი

24 დეკემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა მიიღო დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ე. ბევინი.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ფ. ტ. გუსევი, საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე ბ-ნი ა. კადოგანი და დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. კ. კერი.

სადილი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინთან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ბ-ნ ბირნსისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ბევინის პატივსაცემად

გუშინ, 24 დეკემბერს, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა კრემლში სადილი გამართა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ბ-ნ დ. ბირნსის და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ე. ბევინის პატივსაცემად.

სადილად ბ-ნ ბირნსისა და ბ-ნ ბევინის გარდა იყვნენ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე ბ-ნი ა. კადოგანი, დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ა. კერი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ა. ჰარიმანი, ბ-ნები რ. ბულარდი, ვ. კოენი, დ. კონანტი, ჰ. მეტიუზი, რ. კემბელი, დ. კარტერ ვინსენტი, ჩ. ბოლენი და სხვები.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ვ. მ. მოლოტოვი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ჟდანოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ლ. პ. ბერია, გ. მ. მალენკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ა. ბულგანინი, ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, ვ. ნ. მერკულოვი, ა. ი. ვიშინსკი, ვ. გ. დეკანოზოვი, ა. დ. კრუტიკოვი, არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ფ. ტ. გუსევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, გ. მ. პოპოვი და სხვები.

სადილმა მეგობრულ, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

იტალიასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან და ფინეთთან საზავო ხელშეკრულებათა მომზადების შესახებ

საბჭოთა კავშირის, შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირმა მოსკოვში შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების მთავრობები აცხადებენ, რომ მათ მიაღწიეს შეთანხმებას და საფრანგეთისა და ჩინეთის მთავრობებს მიმართეს თხოვნით შეუერთდნენ შეთანხმებას საზავო ხელშეკრულებათა მომზადების ქვემომოყვანილი პროცედურის შესახებ:

1. საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ იტალიასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან და ფინეთთან საზავო ხელშეკრულებათა შედგენაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოს მხოლოდ ის წევრები, რომლებიც არიან, ანდა, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დაარსების შესახებ შეთანხმების პირობების თანახმად, რაც მიღებულ იქნა ბერლინის კონფერენციაზე, ითვლებიან კაპიტულაციის პირობების ხელმომწერ მხარეებად, უკეთუ და ვიდრე საბჭო არ მიიღებს, ამ შეთანხმების შესაბამისად, გადაწყვეტილებას სხვა წევრების მიწვევის შესახებ საბჭოში მონაწილეობის მისაღებად იმ საკითხებზე, რომლებიც მათ პირდაპირ ეხება, ესე-იგი:

A) იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პირობებს შეიმუშავებენ დიდი ბრიტანეთის, შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები;

B) რუმინეთთან, ბულგარეთთან და უნგრეთთან საზავო ხელშეკრულებების პირობებს — საბჭოთა კავშირის, შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრები;

C) ფინეთთან საზავო ხელშეკრულების პირობებს — საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრები.

საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეები დაუყოვნებლივ განაახლებენ თავიანთ მუშაობას ლონდონში იმ შეთანხმების საფუძველზე, რაც მიღწეულ იქნა ლონდონში საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პირველ სესიაზე განხილული საკითხების შესახებ.

2. როცა ყველა ამ პროექტის მომზადება დამთავრდება, საბჭო მოიწვევს კონფერენციას იტალიასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან და ფინეთთან საზავო ხელშეკრულებათა განსახილველად. კონფერენციის შემადგენლობაში იქნება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ხუთი წევრი, აგრეთვე ყველა წევრი გაერთიანებული ერებისა, რომელნიც მტრულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ევროპაში წარმოებულ ომში აქტიურად მონაწილეობდნენ თავიანთი არსებითი სამხედრო კონტინგენტებით, სახელდობრ: ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, დიდი ბრიტანეთის, ჩინეთის, საფრანგეთის, ავსტრალიის, ბელგიის, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ბრაზილიის, საბერძნეთის, ჰოლანდიის, ინდოეთის, კანადის, ახალი ზელანდიის, ნორვეგიის, პოლონეთის, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ეთიოპიის, იუგოსლავიის, სამხრეთ აფრიკის კავშირისა.

კონფერენცია შესდგება არა უგვიანეს 1946 წლის 1 მაისისა.

3. კონფერენციის მუშაობის დამთავრებისა და მისი რეკომენდაციების განხილვის შემდეგ, იტალიასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან და ფინეთთან დროებითი ზავის პირობების ხელმომწერი სახელმწიფოები და იტალიასთან საზავო ხელშეკრულების მხრივ ხელმომწერ მოკავშირე სახელმწიფოებთან გათანაბრებული საფრანგეთი შეადგენენ შესაბამისად საზავო ხელშეკრულებათა საბოლოო ტექსტებს.

4. ამ სახით შედგენილს შესაბამის საზავო ხელშეკრულებათა საბოლოო ტექსტებს ხელს მოაწერენ იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომლებიც წარმოდგენილი არიან კონფერენციაზე და ომის მდგომარეობაში იმყოფებიან მოცემულ მტრულ სახელმწიფოსთან.

შესაბამის საზავო ხელშეკრულებათა ტექსტები შემდეგ წარედგინება სხვა გაერთიანებულ ერებს, რომლებიც ომის მდგომარეობაში არიან მოცემულ მტრულ სახელმწიფოსთან.

5. საზავო ხელშეკრულებანი ძალაში შევლინ დროებითი ზავის შესაბამის პირობათა ხელმომწერი მოკავშირე სახელმწიფოების მიერ, აგრეთვე იტალიის მიმართ მათთან გათანაბრებული საფრანგეთის მიერ ამ ხელშეკრულებათა რატიფიცირებისთანავე.

საზავო ხელშეკრულებები რატიფიცირებულ უნდა იქნან აგრეთვე შესაბამისი მტრული სახელმწიფოების მიერ".

* * *

მოლაპარაკება სხვა საკითხებზე გრძელდება მეგობრული სულისკვეთებით, და იმედია, რომ კომუნიკე თათბირის მუშაობის შესახებ გამოშვებულ იქნება ერთი ან ორი დღის განმავლობაში.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა დასასვენებელი დღე კვირიდან—1945 წლის 30 დეკემბრიდან გადატანილ იქნას შაბათისათვის — 1946 წლის 1 იანვრისათვის.

იმ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, სადაც ეროვნულ და საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით დასასვენებელი დღე პარასკევია, დასასვენებელ დღედ ჩაითვალოს 1946 წლის 1 იანვარი ნაცვლად პარასკევისა — 1945 წლის 28 დეკემბრისა.

ჩვენი ქვეყანა ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის

აჭარის ასს რესპუბლიკა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ურეხის 419-ე საარჩევნო ოლქი. სურათზე: საოლქო კომისიის წევრი ფ. კორძაია (მარჯვნიდან მეორე) ესაუბრება ამომრჩევლებს.

ფოტო ელ. გინზბურგისა

ვინ იქნება თბილისში საუკეთესო მჭედელი?

24 დეკემბერს **სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის** სახელოვანმა მჭედელმა კ. ილურიძემ საწარმოო დავალება შეასრულა 1003 პროცენტით. მან გამოსჭედა ვაგონის ერთ-ერთი დეტალი 300 ცალის რაოდენობით, ორთქლმავლის ერთ-ერთი დეტალი 32 ცალის რაოდენობით, ორთქლმავლის მეორე დეტალი 20 ცალის რაოდენობით, შეაკეთა ორთქლმავლის რამდენიმე ხელნა და სხვა ნაწილები.

სულ 24 დეკემბერს კ. ილურიძემ 8 საათის განმავლობაში შეასრულა ისეთი სამუშაო, რისთვისაც ნორმით 151 საათია გათვალისწინებული. წარჩინებულ სტახანოველს მეუროვედ ეხმარებოდა ახალგაზრდა მჭედელი ხ. კულუმბეგაშვილი.

წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე შეჯიბრებაში ჩაბმულმა მჭედლებმა გ. არუსტამოვმა (დღიური დავალება შეასრულა 757 პროცენტით), ს. ამბარცუმიანმა (გეგმა შეასრულა 525 პროცენტით) და ვლ. გამხუაშვილმა (გეგმა შეასრულა 485 პროცენტით).

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მჭედელმა ამხ. ა. არეშოვმა 24 დეკემბერს გეგმა 720 პროცენტით შეასრულა.

ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მჭედელმა ნ. ბორზუჩენკომ 24 დეკემბერს გეგმა შეასრულა 405 პროცენტით, მჭედელმა რომელაშვილმა—200 პროცენტით და აივაზოვმა—300 პროცენტით.

კავშირის საბჭოს არჩევნების № 565 საარჩევნო ოლქში

— მეტად პასუხსაგები ამოცანები დგას ჩვენს წინაშე,—განაცხადა „კომუნისტის" კორესპონდენტთან საუბარში კავშირის საბჭოს არჩევნების გორის № 565 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. გ. მიხანაშვილმა.—მუშაობას უკვე შევუდექით. საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე შევიმუშავეთ უახლოესი დროის სამუშაო გეგმა. კომისიის წევრთა შორის გავანაწილეთ დავალებები. კომისიის წევრებს—ხაშურის კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანს ლუბა ნოზაძეს, გორის საკონსერვო ქარხნის სტახანოველს მათიკო ნადირაძეს, საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგეს გ. სანაკოევს, ხაშურის საელმავლო დეპოს ინჟინერს ალ. ლექავას დაევალათ შეამოწმონ, თუ რამდენად სწორად არის შექმნილი ოლქში საარჩევნო უბნები, როგორაა ისინი მოწყობილი.

ოლქის ყველა რაიონში შექმნილი და დამტკიცებულია საუბნო საარჩევნო კომისიები. გორის რაიონში შექმნილია 58 საარჩევნო უბანი, ხაშურის რაიონში—42, ქარელის რაიონში—33 და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—126. დაზუსტებულია საარჩევნო უბნების საზღვრები. საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის გამოყოფილია საუკეთესო ბინები. სწარმოებს მათი გაფორმება და მოწყობა. საუბნო კომისიები უკვე შეუდგნენ მუშაობას.

ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ამომრჩეველთა სიების დასაზუსტებლად. რაიონული და სასოფლო საბჭოების დეპუტატები, მთელი აქტივი მონაწილეობს საარჩევნო სიების დაზუსტებაში. ამ დღეებში ჩავატარეთ გორის რაიონის საუბნო საარჩევნო კომისიების თათბირი.

მეცნიერი მუშაკები მონაწილეობენ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის გაცხოველებით ემზადებიან. მრავალი მეცნიერი მუშაკი აქტიურად მონაწილეობს მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში. ისინი მიდიან საარჩევნო უბნებში, დიასახლისებთან და საინტერესო საუბრებს ატარებენ.

საარჩევნო კანონისა და სტალინური კონსტიტუციის პოპულარიზაციას ეწევიან დოცენტები და უფროსი მეცნიერი მუშაკები: ა. ჯანაშვილი, ა. მარტიროსოვი, ა. რობაქიძე, ა. ნაზაროვი და სხვები. აგიტპუნქტს ხელმძღვანელობს აკადემიის საზოგადოებრივი მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი მ. ქოჩიაშვილი.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ბ-ნ ბირნსისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ბევინის მოსკოვს ყოფნის გამო

23 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ბ-ნი დ. ბირნსი და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ე. ბევინი დიდ თეატრში დაესწრნენ „ზოლუშკას" სპექტაკლს.

თეატრის ცენტრალურ ლოჟაში, ბ-ნ დ. ბირნსის, ბ-ნ ე. ბევინისა და ვ. მ. მოლოტოვის გარდა, იყვნენ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე ბ-ნი ა. კადოგანი, დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ა. კერი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ა. ჰარიმანი, ბ-ნი რ. ბულარდი, ვ. კოენი, დ. კონანტი, ჰ. მეტიუზი, რ. კემბელი და სხვ.

ცენტრალურ ლოჟაში იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ფ. ტ. გუსევი და სხვ.

თეატრში იყვნენ მოსკოვში აკრედიტებულ საელჩოთა და მისიათა მეთაურები, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

ცენტრალური ლოჟა მორთული იყო ამერიკის, ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ალმებით. სპექტაკლის დაწყებამდე ორკესტრმა შეასრულა ამერიკის, ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. საზოგადოება გულთბილად მიესალმა ბ-ნ დ. ბირნსს, ბ-ნ ე. ბევინსა და ვ. მ. მოლოტოვს. (საკდესი).

ამხანაგ სტალინის პირველი შეხვედრა ლენინთან ტამერფორსში (1905 წ.)

ფოტო მხატ. ი. ვეფხვაძის სურათიდან

ბოლშევიკების ტამერფორსის კონფერენციის 40 წლისთავი

40 წლის წინათ, 1905 წლის 25 დეკემბერს, ტამერფორსში (ფინეთი) შეიკრიბა ბოლშევიკების პირველი სრულიად რუსეთის კონფერენცია. ეს ის დრო იყო, როცა რუსეთს საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვების ტალღა მოედო და დადგა დღეები უშუალო შეიარაღებული ბრძოლებისა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ბოლშევიკების პარტია მასობრივ პარტიად ხდებოდა. „1905 წლის გაზაფხულზე, — სწერდა ლენინი, — ჩვენი პარტია არალეგალური წრეების კავშირი იყო; შემოდგომაზე იგი მილიონობით პროლეტარის პარტია გახდა" (ტ. XII, გვ. 301).

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მოსულ მუშათა ახალ ფენებში იყო კანონიერი ლტოლვა ერთიანი პარტიის შექმნისაკენ. მაგრამ ერთიანობის მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ გზით, თუ მენშევიკები მხილებული იქნებოდნენ როგორც მუშათა კლასზე ბურჟუაზიული გავლენის გამტარებელნი.

ლენინს საჭიროდ მიაჩნდა გაერთიანებამდე მომხდარიყო გამიჯვნა მენშევიკებისაგან, მუშათა ფართო მასები გასცნობოდნენ III ბოლშევიკური ყრილობის გადაწყვეტილებებს. იგი ამბობდა: ჯერ უნდა გავემიჯნოთ, შემდეგ კი გავერთიანდეთ. ამ იდეით არის გამსჭვალული ლენინის წიგნი „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში". ამ წიგნში ლენინი ასაბუთებდა ბოლშევიკურ ლოზუნგებს: ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყების მოწყობის, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის მოპოვებისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის ბრძოლის საჭიროებას. ლენინმა გამოააშკარავა მენშევიკური (ჟენევის) კონფერენციის ოპორტუნისტული არსი — სახელდობრ, რომ მენშევიკები უარჰყოფდნენ თვითმპყრობელობის დასამხობად შეიარაღებული აჯანყების მოწყობას; უარჰყოფდნენ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიას; უარჰყოფდნენ, რომ პროლეტარიატისათვის საჭიროა უხელმძღვანელოს გლეხობას; უარჰყოფდნენ ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ როლს.

1905 წლის ნოემბრის დამლევს ლენინი ემიგრაციიდან დაბრუნდა რუსეთში. მეორე დღეს, 22 (9) ნოემბერს, ლენინის მონაწილეობით შესდგა ცენტრალური კომიტეტის სხდომა, რომელმაც მიიღო პარტიისადმი მიმართვა IV ყრილობის მოწვევის შესახებ. ყრილობა დანიშნული იყო 1905 წლის 23 (10) დეკემბრისათვის. ბოლშევიკურ ყრილობასთან ერთად უნდა შეკრებილიყო მენშევიკური ყრილობა. ორ ყრილობას უნდა განეხილა პარტიული პოლიტიკის საკითხები და გაერთიანების პირობები, შემდეგ კი შეერთებულიყო ერთ გამაერთიანებელ ყრილობად. თვითეულ პარტიას გამაერთიანებელ ყრილობაზე დელეგატთა თანაბარი რაოდენობა უნდა გაეგზავნა.

მენშევიკებთან გაერთიანება ლენინს სრულებითაც არ ჰქონდა წარმოდგენილი ისე, როგორც ორი ნაწილის შეკოწიწება. გაერთიანების მომზადების პერიოდში მენშევიკების, მათი პრინციპული და ტაქტიკური გეზის წინააღმდეგ ბრძოლა არა თუ არ შესუსტებულა, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა. ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა, რომლებსაც ამხანაგი სტალინი მეთაურობდა, ყველა საქალაქო სამრეწველო რაიონში დიდი იდეურ-ორგანიზაციული ბრძოლა გააჩაღეს მენშევიკების წინააღმდეგ. ამხილებდნენ რა მენშევიკების ოპორტუნიზმსა და გამცემლურ როლს რევოლუციაში, ბოლშევიკები განამტკიცებდნენ თავიანთ პარტიულ ორგანიზაციებს, თავიანთ მხარეზე გადმოჰყავდათ სოციალ-დემოკრატი მუშები.

პეტერბურგში, მოსკოვში, ურალზე, დონბასში, ივანოვო-ვოზნესენსკში, ირკუტსკში, ჩიტაში და სხვა ქალაქებში, სადაც პარტიულ ორგანიზაციებს ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, მენშევიკებთან ბრძოლაში ნაღდებოდა მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების რევოლუციური მოძრაობა, მზადდებოდა შეიარაღებული აჯანყება. ამ საფუძველზე მენშევიკი მუშები შორდებოდნენ თავიანთ ბელადებს და ბოლშევიკების მხარეზე გადადიოდნენ.

რევოლუციის მრისხანე აღმავლობის ვითარებაში იკრიბებოდა პარტიის IV ყრილობა. 20 (7) დეკემბერს დაიწყო საყოველთაო გაფიცვა მოსკოვში. მოსკოვის ქუჩებში გაჩნდა მანიფესტაციები, მოხდა პირველი შეტაკებანი ჯარებთან.

დაწყებულმა რევოლუციამ დააბრკოლა ბევრი დელეგატის ჩამოსვლა, და ყრილობის ნაცვლად გამოცხადებულ იქნა კონფერენცია. პარტიის ისტორიაში იგი შევიდა როგორც სრულიად რუსეთის პირველი (ტამერფორსის) კონფერენცია (1905 წლის 25-30 დეკემბერი). მას დაესწრო 41 დელეგატი 26 ორგანიზაციისაგან, რომლებიც არჩეული იყვნენ პარტიის 4 ათასზე მეტი ორგანიზებული წევრის მიერ.

კონფერენციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ლენინი. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციისაგან ყრილობას დაესწრნენ ამხანაგი სტალინი და მუშა გიორგი თელია. ამხანაგი სტალინი ვ. ი. ლენინთან ერთად შედიოდა კონფერენციის რეზოლუციათა სარედაქციო პოლიტიკურ კომისიაში. ამხანაგი სტალინი კონფერენციაზე გამოვიდა სიტყვით სახელმწიფო სათათბიროს მიმართ ბოლშევიკური ტაქტიკის დასაცავად, აგრეთვე მოხსენებით ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

კონფერენციაზე შესდგა ლენინისა და სტალინის პირველი პირადი შეხვედრა. შემდეგ ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„შესანიშნავი იყო ამ კონფერენციაზე ლენინის მიერ წარმოთქმული ორი სიტყვა: მიმდინარე მომენტზე და აგრარულ საკითხზე. სამწუხაროდ, ისინი არ შენახულა. ეს იყო აღგზნებული სიტყვები, რომლებმაც მთელი კონფერენცია უდიდეს აღტაცებაში მოიყვანა. დარწმუნების არაჩვეულებრივი ძალა, არგუმენტაციის უბრალოება და გარკვეულობა, მოკლე და ყველასათვის გასაგები ფრაზები, არავითარი პრანჭვა-გრეხა, არავითარი თავბრუდამხვევი ჟესტები და ეფექტიანი ფრაზები, რომლების მიზანია შთაბეჭდილების მოხდენა, — ყველაფერი ეს ხელსაყრელად ანსხვავებდა ლენინის სიტყვებს ჩვეულებრივი „საპარლამენტო" ორატორების სიტყვებისაგან.

მაგრამ მაშინ მე მომხიბლა ლენინის სიტყვების არა ამ მხარემ. მე მომხიბლა ლენინის სიტყვებში ლოგიკის იმ დაუძლეველმა ძალამ, რომელიც ცოტა მშრალად, მაგრამ სამაგიეროდ საფუძვლიანად იპყრობს აუდიტორიას, თანდათან აღგზნებს მას და შემდეგ ტყვედ მიჰყავს ყველა, როგორც იტყვიან, გამოუკლებლივ. მახსოვს, როგორ ლაპარაკობდა მაშინ ბევრი დელეგატთაგანი: «ლოგიკა ლენინის სიტყვებში — ეს ისეთი ყოვლად ძლიერი კლანჭებია, რომელიც ყოველი მხრიდან მარწუხს გიჭერს და რომლისაგან გასხლტომის ძალა აღარ შეგწევს: ან დანებდი, ან გადაწყვიტე, რომ სავსებით უნდა დამარცხდე".

მე ვფიქრობ, რომ ეს თავისებურება ლენინის სიტყვებში მისი ორატორული ხელოვნების ყველაზე ძლიერ მხარეს წარმოადგენს".

კონფერენციაზე მოსმენილ იქნა დელეგატთა მოხსენებები ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ და რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. ლენინი გამოვიდა მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ. კონფერენციამ განიხილა საკითხები გამაერთიანებელი ყრილობის, პარტიის რეორგანიზაციის, სახელმწიფო სათათბიროს მიმართ პარტიის ტაქტიკის შესახებ და აგრარული საკითხი. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყებისა და ამ აჯანყებაში ბოლშევიკების ხელმძღვანელი მონაწილეობის შესახებ.

კონფერენციამ საჭიროდ ჩასთვალა გამოეყენებინა ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვით მოპოვებული ერთგვარი თავისუფლების ვითარება და მოეხდინა პარტიის რეორგანიზაცია, განეხორციელებინა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, პარტიაში გაეტარებინა არჩევითობა, მოეწყო საოლქო კონფერენციები, ფართოდ დაკავშირებოდა მუშათა მასობრივ ორგანიზაციებს.

იყენებდა რა ყველა შესაძლებლობას პარტიაში არჩევითობის გასაფართოებლად, ლენინი ამავე დროს ენერგიულად იბრძოდა ლიკვიდატორული ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ მოესპოთ პარტიის არალეგალური ორგანიზაცია: მანამდე, ვიდრე თვითმპყრობელობა არ მოისპობოდა, არალეგალური პარტია შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო.

ლენინი გამოვიდა მომხსენებლად აგრარულ საკითხზე. კონფერენციამ გადასწყვიტა, რომ ბოლშევიკები მხარს დაუჭერენ გლეხობის რევოლუციურ ღონისძიებებს რევოლუციური გლეხური კომიტეტების მიერ მემამულეთა მთელი მიწის თვით კონფისკაციამდე და ამასთან ერთად დამოუკიდებლად დარაზმავენ სოფლის პროლეტარიატს.

კონფერენციაზე ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი იყო საკითხი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ. კონფერენციის გახსნის დღეს, როცა მოსკოვში გაჩაღებული იყო საბარიკადო ბრძოლები, სენატმა გამოსცა ბრძანებულება სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დებულების ცვლილებათა და დამატებათა შესახებ. მაშასადამე, ეს უკვე იყო არა ბულიგინის სათათბირო, რომელიც ბოლშევიკურმა ბოიკოტმა აღგავა, არამედ „საკანონმდებლო" სათათბირო.

განა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რომ ეს იყო, როგორც კონფერენციამ აღნიშნა, სახალხო წარმომადგენლობის გაყალბება. ახალი კანონის მიხედვით მოსახლეობის ნახევარზე მეტს (ქალებსა და 2 მილიონზე მეტ მუშას) წაერთვა ხმის უფლება. არჩევნები არათანასწორი იყო — დაწესებულ იქნა 4 კურია: მიწათმფლობელთა (მემამულეები), საქალაქო (ბურჟუაზია), გლეხთა და მუშათა კურიები. არჩევნები იყო მრავალსაფეხურიანი და არა პირდაპირი. 11 დეკემბრის კანონი საბოლოო ანგარიშით უზრუნველჰყოფდა სათათბიროში მმართველი კლასების დიდ უპირატესობას მილიონობით მშრომელთა წარმომადგენლების წინაშე.

ცარიზმი ცდილობდა, როგორც კონფერენციამ აღნიშნა, „გადაედო თავისი საბოლოო დაღუპვა", რისთვისაც აამუშავა არა მარტო მათრახი (დუბასოვებისა და რენენკამპფების მხეცური ტერორი), არამედ ქაღალდ (სათათბირო).

მეტისმეტად საგულისხმოა ის, თუ როგორ გაიყვნენ პარტიები სათათბიროს საკითხში: ბოლშევიკები მხარს უჭერდნენ სათათბიროს აქტიური ბოიკოტის ტაქტიკის განგრძობას. ბოლშევიკების ლოზუნგი იყო — შეიარაღებული აჯანყება. მენშევიკები კი „ნახევარბოიკოტის" თავიანთი ტაქტიკით განაგრძობდნენ მუშათა კლასში კონსტიტუციური ილუზიების დანერგვას, მუშათა კლასის განიარაღებასა და დეზორგანიზაციას ტერორისტულ შეტევაზე გადასული ცარიზმის წინაშე.

მოსკოვში მიმდინარე შეიარაღებულ აჯანყებასთან, სხვა ქალაქებში დაწყებულ შეიარაღებულ გამოსვლებთან დაკავშირებით ლენინმა წინადადება შეიტანა, რომ კონფერენცია სასწრაფოდ დამთავრებულიყო. დელეგატები ადგილებზე გაემგზავრნენ, რათა პირადი მონაწილეობა მიეღოთ აჯანყებაში.

ტამერფორსის კონფერენციამ, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღეს ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა, დასახა მასების მოზიდვისათვის ბრძოლის გზა, ბოლშევიკების მხარეზე იმ სოციალ-დემოკრატ მუშათა გადაყვანის ტაქტიკა, რომლებიც ჯერ კიდევ მიჰყვებოდნენ მენშევიკებს.

ტამერფორსის კონფერენცია დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია მასობრივი ბოლშევიკური პარტიის მშენებლობაში, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, მსოფლიოში ყველაზე ძლიერი პარტიის მშენებლობაში, რომელმაც ჩვენი ხალხისათვის უზრუნველჰყო მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი.

პროფესორი მ. მოსკალევი

თეზ.

„გოელროს" გეგმის 25 წლისთავი

საღამო მეცნიერთა მოსკოვის სახლში

22 დეკემბერს შესრულდა 25 წელი იმ დღიდან, რაც სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობამ დამტკიცა რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმა („გოელრო"). ჩვენი სამშობლოს ისტორიის ამ სამახსოვრო თარიღს მიეძღვნა საღამო, რომელიც 22 დეკემბერს მეცნიერთა სახლში შესდგა. საღამოს დაესწრნენ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის გამოჩენილი მოღვაწეები, უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორები და მასწავლებლები, დედაქალაქის ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლები.

მოხსენება ელექტროფიკაციის გეგმის განხორციელების შესახებ გააკეთა აკადემიკოსმა გ. მ. კრჟიჟანოვსკიმ. ისტორიული ყრილობის მონაწილემ, „გოელროს" გეგმის ერთ-ერთმა ავტორმა, მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა ის ვითარება, რომელშიც წარმოიშვა და სახელმწიფო გეგმად ჩამოყალიბდა ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინურ-სტალინური იდეა.

— „გოელროს" გეგმა, — განაცხადა აკადემიკოსმა კრჟიჟანოვსკიმ, — გამსჭვალული იყო უდიდესი სიბრძნითა და წინასწარხედვით. ლენინმა და სტალინმა ხალხს მოუწოდეს მისი განხორციელებისაკენ და, მიუხედავად ყველა სიძნელისა, რაც გამოწვეული იყო ომისშემდგომი ნგრევით, გეგმა, რომელსაც მხარი დაუჭირა ხალხმა, წარმატებით განხორციელდა. ეს არის ლენინ-სტალინის პარტიის ნამდვილი ტრიუმფი!

დამსწრეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს აკადემიკოს კრჟიჟანოვსკის ნაამბობი ვ. ი. ლენინთან შეხვედრებსა და საუბრებზე, ვლადიმერ ილიას-ძის მიერ იმ მეცნიერთათვის მიცემულ ბრძნულ მითითებებზე, რომლებიც მონაწილეობდნენ გეგმის შემუშავებაში. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოწინავე მეცნიერებმა, რომლებიც გატაცებული იყვნენ ახალი ენერგეტიკული სიმძლავრეების შექმნისა და თანამედროვე ტექნიკურ რელსებზე ჩვენი ქვეყნის გადაყვანის ლენინური იდეით, უდიდესი ენთუზიაზმით მოჰკიდეს ხელი „გოელროს" გეგმის განხორციელებას. ელექტროფიკაცია გახდა ბაზა საბჭოთა კავშირის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა, რომელიც სტალინური ხუთწლედების განმავლობაში განხორციელდა და უზრუნველჰყო ჩვენი ქვეყნის სამხედრო და ეკონომიური ძლიერება.

„გოელროს" გეგმის შემუშავებაში თავისი მონაწილეობის მოგონებებით გამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ქ. ა. კრუგი; ენერგეტიკოსთა სრულიად საკავშირო საზოგადოების მოსკოვის განყოფილების თავმჯდომარემ ხ. ა. ტელეშოვმა დამსწრეთ უამბო, თუ როგორ იქმნებოდა მოსკოვის ენერგეტიკული ბაზა საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობის გადაწყვეტილების შემდეგ, რომელმაც დამტკიცა ელექტროფიკაციის გეგმა. (საკდესი).

„ყინულოვან სივრცეებში"

33 წლის წინათ გადაღებული ფილმი

ლენინგრადი, 22 დეკემბერი. (საკდესი). არქტიკის მუზეუმის ფონდებში მრავალ წელს ინახებოდა დოკუმენტალური კინოფილმი, რომელიც გადაღებულია 1912-14 წლებში ჩრდილოეთ პოლუსზე გიორგი სედოვის შესანიშნავი ექსპედიციის მონაწილის ნ. ვ. პინეგინის მიერ. ეს ფილმი ერთ-ერთი პირველად გადაღებული ფილმი იყო ძმების პატეს კინოაპარატით.

იმასთან დაკავშირებით, რომ 1946 წლის იანვარში სრულდება არქტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის 25 წლისთავი, გადაწყვეტილია ეს ისტორიული ფილმი უჩვენონ სიუბილეო სამეცნიერო სესიაზე.

კინოსტუდია „ლენტექფილმში" შესდგა ფილმის განხილვა. აღმოჩნდა, რომ ფირი საუცხოო მდგომარეობაშია.

ფილმი გვიჩვენებს გიორგი სედოვის ექსპედიციის ყოველდღიურ მუშაობას. გადაღებულია თეთრ დათვზე ნადირობა ახალ მიწაზე, ლომთევებზე ნადირობა ექსპედიციის დაზამთრების ადგილას — ტიხაიის ბუხტთან, სადაც ამჟამად არის ფართოდ ცნობილი პოლარული სადგური. ფილმში ნაჩვენებია უზარმაზარი ყინულის მთა, რომელსაც ექსპედიციის მონაწილეებმა „მობეტიალე" უწოდეს.

შესანიშნავია ის კადრები, რომლებიც გვიჩვენებენ არქტიკაში მომინაურებულ და დატვირთულ მარხილებში შებმულ თეთრ დათვებს, აგრეთვე შესანიშნავ საექსპედიციო გემ „წმიდა მოწამე ფოკას", რომლითაც არხანგელსკიდან გავიდა სედოვის ექსპედიცია.

დაიწყო ფილმის „ყინულოვან სივრცეებში" დამუშავება.

რუსული ძალოსნური სპორტის 60 წლისთავი

დიდი სასპორტო დღესასწაული ლენინგრადის ცირკში. გრიგოლ ნოვაკის ახალი მსოფლიო რეკორდი

ლენინგრადი, 23 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ლენინგრადის ცირკში შესდგა დიდი სასპორტო დღესასწაული, მიძღვნილი რუსული ძალოსნური სპორტის 60 წლისთავისადმი. სახეიმო სხდომის პრეზიდიუმში აირჩიეს პეტერბურგის პირველი რუსული ძალოსნური წრის ერთ-ერთი მონაწილე—ცნობილი ძალოსანი ივანე ვასილის-ძე ლებედევი (ძია ვანია), ძველი მსოფლიო რეკორდსმენი კლიმენტ ბული, ძველი რესი მოჭიდავე ივანე ზაიკინი, ცნობილი ძალოსნები ბეჟნეცი, შეილინდი.

სხდომის შემდეგ დაიწყო სიმძიმის აწევის მსოფლიო რეკორდსმენთა—სპორტის დამსახურებულ ოსტატთა ალექსანდრე ბოჟკოს, ნიკოლოზ შატოვის, გრიგოლ ნოვაკის, გიორგი პოპოვისა და სხვების საჩვენებელი გამოსვლა.

ძალოსნობის საბჭოთა ოსტატებმა კვლავ გვიჩვენეს თავიანთი მაღალი სპორტული მიღწევები. მოსკოველმა გიორგი პოპოვმა, რომელიც 160 კილოგრამს იწონის, ორივე ხელით აწია 125 კილოგრამი წონის შტანგა. სამახსოვრო დღე აღნიშნულია ახალი მსოფლიო რეკორდით. ნახევრადმძიმე წონის გრიგოლ ნოვაკმა ორი ხელით აქვლიჯა 127 კილოგრამი წონის შტანგა და, ამრიგად, ერთი კილოგრამით გადააჭარბა ნახევრად მძიმეწონოსნ სპორტსმენებისათვის ორივე ხელით აწევის თავის მსოფლიო რეკორდს. ოფიციალური მსოფლიო რეკორდი მძიმე წონის კატეგორიისათვის, რომელიც ამერიკელ დევისს ეკუთვნის, 125 კილოგრამს უდრის.

დღესასწაული დამთავრდა იმ მოჭიდავეთა საფინალო შეხვედრით, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფრანგულ ჭიდაობაში სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელწოდებისა-

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლის" მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ცხრა შვილი „სახელოვანი დედის" I ხარისხის ორდენით

1. **კოპაძე** ანა (ასიანა) ნიკოლოზის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროს მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ნაბიევი** ფატმა ჰუსეინ ყიზი — ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ შინდილარის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **ტყემალაძე** აგრაფენა სიმონის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ დიდი განთიადის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს რვა შვილი „სახელოვანი დედის" II ხარისხის ორდენით

1. **თურმანიძე** ეფემია იორამის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ ილემის კოლმეურნეობის წევრი;
2. **კოჭიაშვილი** ეთერი ისრაელის-ასული — დიასახლისი, დაბა სურამი, ხაშურის რაიონი;
3. **ლურსმანიშვილი** ელენე სპირიდონის-ასული — ხაშურის რაიონის სოფელ ხაღბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **ნებიერიძე** ზინაიდა ბესარიონის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ საზანოს კოლმეურნეობის წევრი;
5. **ოდიკაძე** პოლექსი დავითის-ასული—ზესტაფონის რაიონის სოფელ დილიკაურის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **პირველაშვილი** ირადო მურმანის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. **სამხარაძე** მარიამ სპირიდონის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ საზანოს კოლმეურნეობის წევრი;
8. **სამოილოვი** ფედოსი ვასილის-ასული — ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ბაშკიჩეთის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
9. **ტამამ ბაირამ** ყიზი — ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ საფარლოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
10. **ჯანაშვილი** თამარ აბრამის-ასული — დიასახლისი, დაბა სურამი, ხაშურის რაიონი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს შვიდი შვილი „სახელოვანი დედის" III ხარისხის ორდენით

1. **ელბაქიძე** მარიამ (მაშო) გაბრიელის-ასული — ხაშურის რაიონის სოფელ აგარების კოლმეურნეობის წევრი;
2. **მახრა** კურბან ყიზი — ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ანგეროვანის კოლმეურნეობის წევრი;
3. **კაპანაძე** ელისაბედ სიმონის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველ სვირის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **კოპაძე** შუშანა გიორგის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ სანახშირის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **კოჭიაშვილი** რახილ მოსეს-ასული—დიასახლისი, დაბა სურამი, ხაშურის რაიონი;
6. **პერანიძე** სოფიო (სონა) სარდიონის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ დილიკაურის კოლმეურნეობის წევრი;
7. **სულთან** გუმბათ ყიზი — ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ყიზილ-ქილისის კოლმეურნეობის წევრი;
8. **შერგილაშვილი** ქრისტინე ფილიმონის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ სანახშირის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
9. **შიუკაშვილი** ტერეზი სოლომონის-ასული — დიასახლისი, სოფელი გომი, ხაშურის რაიონი;
10. **ჩაჩანიძე** მარიამ (მაშო) პეტრეს-ასული — ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთის კოლმეურნეობის წევრი;
11. **წიქარიშვილი** ელისაბედ (ლიზა) ზაქარიას-ასული — ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთის კოლმეურნეობის წევრი;
12. **ძამანაშვილი** ვერა ნიკოლოზის-ასული — ხაშურის რაიონის სოფელ ხცისის კოლმეურნეობის წევრი;
13. **ხეთაგური** თამარ ალექსის-ასული — დიასახლისი, სოფელი გომი, ხაშურის რაიონი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ექვსი შვილი „დედობის მედლის" I ხარისხის მედლით

1. **ანა ხანუმ** მამადი ყიზი — ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ყიზილ-ქილისის კოლმეურნეობის წევრი;
2. **გორგაძე** სოფიო (სონა) პავლეს-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ კვალითის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **გულსაფა** პაშა ყიზი — ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ მამიშლოს კოლმეურნეობის წევრი;
4. **ელბაქიძე** ანა სიმონის-ასული — ხაშურის რაიონის სოფელ მიწობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **თურმანიძე** ოლღა ლუკას-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ ილემის კოლმეურნეობის წევრი;
6. **ივანიშვილი** მარიამ გიორგის-ასული — ხაშურის რაიონის სოფელ ფლევის კოლმეურნეობის წევრი;
7. **სარალიძე** ევგენია (ჟენია) იორამის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
8. **ტუსიაშვილი** ოლღა გაბრიელის-ასული — ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურის კოლმეურნეობის წევრი;
9. **ტუსიაშვილი** ანა იოსების-ასული — ხაშურის რაიონის სოფელ ზემო ოსიაურის კოლმეურნეობის წევრი;
10. **პაპუაშვილი** თამარ სოლომონის-ასული ხაშურის რაიონის სოფელ დუმაცხოვის კოლმეურნეობის წევრი;
11. **მანაშეროვი** ზინაიდა რახამის-ასული — დიასახლისი, დაბა სურამი, ხაშურის რაიონი;
12. **ლვალაძე** რიმა მიხეილის-ასული—ზესტაფონის რაიონის სოფელ საზანოს კოლმეურნეობის წევრი;
13. **ხარაზიშვილი** სოფიო ტიმოთეს-ასული — ხაშურის რაიონის სოფელ პატარა ფლევის კოლმეურნეობის წევრი;
14. **ხარიძე** ვერა ალექსანდრეს-ასული—ხაშურის რაიონის სოფელ თაგვეთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი შვილი „დედობის მედლის" II ხარისხის მედლით

1. **ზიბზიბაძე** ოლღა ასლანის-ასული—ზესტაფონის რაიონის სოფელ სვიატიმალლის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **კურტანიძე** თამარ ზაქარიას-ასული — ხაშურის რაიონის სოფელ კოდისწყაროს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **კუპრავა** ფედოსი ტრიფონის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ ილემის კოლმეურნეობის წევრი;
4. **ლალაზარ** ბაირამ ყიზი — ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ანგერავანის კოლმეურნეობის წევრი;
5. **ლალუაშვილი** თამარ ვასილის-ასული — დიასახლისი, სოფელი დიდი ბეკამი, ხაშურის რაიონი;
6. **ლაცაბიძე** მატრონა მიხეილის-ასული — დიასახლისი, დაბა სურამი, ხაშურის რაიონი;
7. **ლომიძე** ელენე პავლეს-ასული — ხაშურის რაიონის სოფელ ჯვართმუხის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
8. **ლომიძე** ელენე შიოს-ასული — ხაშურის რაიონის სოფელ ჯვართმუხის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
9. **ლომიძე** ბარბარე (ბაბუცა) ნიკოლოზის-ასული — ხაშურის რაიონის სოფელ ჯვართმუხის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
10. **პერანიძე** ელენე ვასილის-ასული—ზესტაფონის რაიონის სოფელ დილიკაურის კოლმეურნეობის წევრი;
11. **სარალიძე** ოლღა (ოლია) იულიანის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ ფურის კოლმეურნეობის წევრი;
12. **ხირაძე** თამარ სერაფიონის-ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ ფურის კოლმეურნეობის წევრი;
13. **პარი** ჰასუმ ყიზი — ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ირგანჩაის კოლმეურნეობის წევრი;
14. **ფატმან** მამედ ყიზი — ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ირგანჩაის კოლმეურნეობის წევრი;
15. **ქიტიაშვილი** შუშანა სოსოს-ასული — ხაშურის რაიონის სოფელ ქინძათის კოლმეურნეობის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი
1945 წ. 20 დეკემბერი. ქ. თბილისი.

ერთი დღე საგუშაგოზე

ზღვისპირეთის საზღვარი, 23 დეკემბერი. (საკდესის სპეცკორი). დამთავრდა ბრძოლები იაპონელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ და ჩეკისტი მეომრები კვლავ თავის საბრძოლო საგუშაგოებზე დადგნენ. ლეიტენანტ ლეცკოვის საგუშაგოს მესაზღვრეები ფხიზლად იცავენ სახელმწიფო საზღვარს და დაუღალავად აუმჯობესებენ თავიანთ საბრძოლო გაწვრთნილობას.

... დილიდან ქროდა ჩრდილოეთის ქარი, ნავარდობდა დაბალი ქარი, ძლიერი ყინვა იყო. მაგრამ ამინდმა ვერ შესცვალა საბრძოლო სწავლების განრიგი. ყველა მებრძოლი, რომელიც ამ დროს თავისუფალი იყო სასაზღვრო ვახტისაგან, სასროლო მოედანზე შეიკრიბა. ამ დილით სასროლო ხაზზე პირველი გავიდა სერჟანტი ბელაში. იაპონელი იმპერიალისტებისათვის ომის გამოცხადების დღეს იგი მებრძოლთა ჯგუფთან ერთად პირველი შეიჭრა მტრის ტერიტორიაზე და გრანატებით მოსპო იაპონელთა ძელმიწური საცეცხლე წერტი, რისთვისაც დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით. ამხ. ბელაშმა ოთხჯერ ზედიზედ გაისროლა შაშხანა და ტყვიები ზუსტად მოხვდა სამიზნეს. შემდეგ იგი ტყვიამფრქვევს მიუჯდა და აგრეთვე ზუსტად მოახვედრა სამიზნეს. კარგად ისროდნენ ეფრეიტორი გასევი, მებრძოლები დემენევი, მერკულოვი და სხვები.

დღისით საზღვრის საგუშაგოზე შესდგა პოლიტმეცადინეობა. სამშობლოს გუშაგები სწავლობდნენ ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVIII წლისთავის შესახებ. ... შეუმჩნევლად დადგა საღამო. მებრძოლთა ახალი რაზმები წავიდნენ საზღვარზე. საბრძოლო ვახტიდან დაბრუნებული მესაზღვრეები შეიკრიბნენ ლენინის ოთახში — ამომრჩევლის კუთხეში. ლენინის ოთახის კედლებზე არის პლაკატები, ლოზუნგები, სსრ კავშირის სახელმწიფო წყობილების სქემები, საარჩევნო ოლქების რუკები, კომორგ ეფრეიტორ სიმიცინის მიერ მხატვრულად გაფორმებული სათაურები მაგიდებზე — ახალი გაზეთები, ჟურნალები, მომავალი არჩევნებისადმი მიძღვნილი ბროშურები. მებრძოლებთან მეცადინეობას სტალინური კონსტიტუციის შესახებ ეწევა საგუშაგოს პარტორგი სერჟანტი მურაშევი.

მესაზღვრეები დიდ დახმარებას უწევენ კოლმეურნეებს. ამ დღისას პოლკოვნიკ ამხ. ზერნოვის სასაზღვრო ნაწილიდან კოლმეურნეობა „ჩერვონოე კაზახსტანში" წავიდნენ აგიტატორები ამხ. ლებედევი და პოგორელოვი. ისინი სოფელში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის საარჩევნო კანონის შემსწავლელ წრეებს.

სასწავლო დღე საგუშაგოზე თვითმოქმედებით მთავრდება. ლენინის ოთახში იკრიბებიან დაზვერვისაგან თავისუფალი მებრძოლები. ბაიანისტი სერჟანტი მიხაილოვი ასრულებს ხალხურ სიმღერებს. ყველა შეკრებილნი ხმას აყოლებენ მას. საგუშაგოზე გუგუნებს სიმღერა და ჰფარავს ქუჩის ქარ-ბუქის ზუზუნს...

ა. აბრამოვი

ხაშურის რაიონი ახალი წლის წინ

ხორბლისა და სიმინდის უხვი მოსავალი

წელს ახალი სამეურნეო გამარჯვებები მოიპოვეს ხაშურის რაიონის მშრომელებმა. კოლმეურნეობებს თავთავიანი კულტურები 8.800 ჰექტარზე ეთესათ. დროულად ჩატარდა საგაზაფხულო სამუშაოები. ყანების გამარგვლაც არ დაგვიანებულა. მოსავალი მოკლე ვადაში იქნა აღებული. გვალვის მიუხედავად, გასულ წელთან შედარებით თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ აღებულია ორი ცენტნერით მეტი მარცვლეული.

თავთავიანი კულტურების მაღალი მოსავალი მიიღო სოფელ იმერლიანთკარის ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. გრიგალაშვილი). აქ ჰექტარზე 3 ცენტნერით გადააჭარბეს საშუალო მოსავალს. გეგმის გადამეტებით ჰექტარზე 2 ცენტნერით მეტი ხორბალი მიიღო სოფელ ღვრიაწყლის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. ჩხეიძე), ხოლო ტეზრის კოლმეურნეობამ „წითელმა ვარსკვლავმა" (თავმჯდომარე ი. გიგიტაშვილი) ჰექტარზე 9 ცენტნერის ნაცვლად 16 ცენტნერი ქერი აიღო.

სოფელ ქვიშხეთის კოლმეურნეობაში მრავლად არიან უხვი მოსავლის ოსტატები. აქ მემინდვრეობის ბრიგადებმა და რგოლებმა პრემია-წანამატის სახით მიიღეს 40 ცენტნერი ხორბალი. ამდენივე ჰირნახული მაღალი მოსავლის ოსტატებს შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით მიეცათ ტეზრის კოლმეურნეობაში. 127 ცენტნერი მარცვლეული პრემიად მისცა საუკეთესო კოლმეურნეებს სოფელ ალის კოლმეურნეობამ. შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით დიდი რაოდენობით განაწილეს მოსავალი გომის, დიდი ლეღის და სხვა კოლმეურნეობებმა.

სიმინდის მოსავლიანობის გასადიდებლად რაიონში მთელი რიგი აგროღონისძიებანი გატარდა. სოფელ ნაცარგორის კოლმეურნეობაში ჰექტარზე გეგმის გადამეტებით საშუალოდ 4 ცენტნერი სიმინდი აიღეს. გეგმებს ბევრად გადააჭარბეს ზემო ოსიაურის, ტეზრის, დიდი ლეღის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა.

უხვმა მოსავალმა გაზარდა შრომადღის ღირებულება. დუმაცხოვის „პირველი მაისის" სახელობის კოლმეურნეობაში შრომადღეზე ავანსად გასცეს 3,5 კილოგრამი მარცვლეული, წრომის კოლმეურნეობაში — 3 კილოგრამი. სამ-სამ კილოგრამზე მეტი მარცვლეული შრომადღეზე ავანსად გასცეს ნადარბაზევის, გომისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

პირველი განაღდეს საუკეთესო ხარისხის მარცვლეულით კოლმეურნეები ასრულებდნენ სახელმწიფო ვალდებულებებს. კოლმეურნეობებს სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინათ 350,1 ტონა მარცვლეული. ჩაბარებულ იქნა 354,2 ტონა. მტს-ის მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების ანგარიშში კოლმეურნეობებს გეგმით სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინათ 300 ტონა მარცვლეული, ჩააბარეს 373 ტონა.

როგორც კი დამთავრდა მოსავლის აღება, დაიწყო ბრძოლა 1946 წელს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. საშემოდგომო ხვნა-თესვა 7.800-ის ნაცვლად ჩატარდა 7.835 ჰექტარზე. გეგმის გადამეტებით მზრალად მოიხნა 112 ჰექტარი. ეს იმას ნიშნავს, რომ მომზადებულია პირობები მომავალ წელს მეტი მარცვლეულის მოსავლის მოსაყვანად.

მეჭარხლეებმა ვალდებულება შეასრულეს

საკოლმეურნეო მინდვრებზე ფართოდ იყო გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება მეჭარხლეებს შორის. შეჯიბრებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი სოფელ ზემო ოსიაურისა და სურამის სტალინის სახელობის კოლმეურნეობების მეჭარხლეებმა. ოსიაურელებმა გეგმით გათვალისწინებული 154 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე მოიყვანეს 227 ცენტნერი ჭარხალი, სურამელებმა კი — 148 ცენტნერის ნაცვლად 240 ცენტნერი.

გამრავლდნენ მეჭარხლეობის საქმის საუკეთესო მცოდნენი. სოფელ ქინძათის კოლმეურნეობის მერგოლეურმა ანა ქიტიაშვილმა კარგად შეისწავლა ჭარხლის ნათესების მოვლა. მას ამ საქმეში უკვე აქვს დიდი გამოცდილება. პატრიოტმა ქალმა რგოლის წევრებსაც გულმოდგინედ შეასწავლა ჭარხლის უხვი მოსავლის მიღების ხერხები. ამის შედეგად რგოლმა ჰექტარზე გეგმის გადამეტებით 150 ცენტნერი ჭარხალი აიღო. უკეთესი მაჩვენებლები აქვს ვაყის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის იმ რგოლს, რომელსაც ვარა ნოზაძე ხელმძღვანელობს.—მას გამოცდილი აგრონომიც ვერ აჯობებს,—ამბობენ ვარა ნოზაძის შესახებ თანასოფლელები. მისმა რგოლმა ჰექტარზე ჭარხლის საშუალო მოსავალს 189 ცენტნერით გადააჭარბა. ასეთივე წარმატება აქვს ამავე კოლმეურნეობის მერგოლეურს სონა მეტრეველს. მეჭარხლეობის ოსტატები ამჟამად მრავლად არიან რაიონის კოლმეურნეობებში.

მიმდინარე წელს რაიონმა გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარა 54.000 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. მიღებულია ზომები, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო გავზარდოთ ამ ძვირფასი კულტურის მოსავლიანობა.

მეაბრეშუმეობა და მევენახეობა

ჩვენმა კოლმეურნეობებმა 1939 წლიდან მოჰკიდეს ხელი მეაბრეშუმეობას. უკვე გვყავს ამ საქმის ნოვატორები. ასეთია, მაგალითად, ტეზრის კოლმეურნეობის წევრი ბაბილინა ქიტიაშვილი. მას წელს სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინა 40 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, ჩააბარა 82 კილოგრამი. 12 კილოგრამი პარკით გადააჭარბა დაწესებულ გეგმას ვაყის კოლმეურნეობის მეაბრეშუმემ ემა ოგანოვამ. რაიონის კოლმეურნეობებმა წელს სახელმწიფოს 1.200 კილოგრამის ნაცვლად 1.214 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარეს.

შეუჩერებლად ვითარდება მევენახეობა. ახლა ვენახის ფართობი 150 ჰექტარს აღემატება. უახლოეს წლებში ეს ფართობი ერთიორად გაიზრდება. ალის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში მოწყობილია სანერგეები, რომლებიც ათეულათასობით ძირ ვაზს აწვდიან რესპუბლიკის კოლმეურნეობებს.

სოციალისტური მეცხოველეობის აღმავლობა

მეცხოველეობის განვითარების 1945 წლის სახელმწიფო გეგმა რაიონმა 100 პროცენტით შეასრულა. დიდი ყურადღება ექცევა მეღორეობას, განსაკუთრებით ღორის ჯიშის გაუმჯობესების საქმეს. მეღორეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა მიმდინარე წელს შესრულებულია 149 პროცენტით.

წელს რაიონის 47 კოლმეურნეობაში პირველად შემოიღეს საფურე ნაკვეთების თესვა. მიღებული მოსავალი გამოყენებულია პირუტყვის საკვებად.

ხაშურელი მეცხოველეები წელს ადრიდანვე შეუდგნენ მზადებას პირუტყვის გამოზამთრებისათვის. საკვები რაიონში დამზადებულია გეგმის გადამეტებით.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა

რაიონი გაცხოველებით ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. მასებში საარჩევნო კანონის პოპულარიზაციას 662 აგიტატორი ეწევა. მათგან 110 შერჩეულია არჩევნებთან დაკავშირებით.

კარგად მუშაობენ გომის 21 იანვრის სახელობის კოლმეურნეობის აგიტატორები. აქ ყველა იცნობს აგიტატორ ელენე ბელოევას. ის წინასწარ გულმოდგინედ ემზადება საუბრისათვის. ამას წინათ მსმენელებთან საუბარი ჰქონდა საბჭოთა ადამიანის მოვალეობაზე სამშობლოს დაცვის საქმეში, ილაპარაკა საბჭოთა ადამიანების თავდადებული ბრძოლების შესანიშნავ მაგალითებზე, რაც სამამულო ომის დღეებში გამოვლინდა. აგიტატორი წინასწარ მოელაპარაკა დემობილიზებულ ესტატე ქოთოლიშვილს, რომელიც მონაწილეობას იღებდა ბრძოლებში. მან მსმენელებს უამბო ფრონტული ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი. საუბარმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

შემდეგ დღეს აგიტატორს საუბარი ჰქონდა საბჭოთა ადამიანების შრომითს უფლებებზე. აგიტატორმა ამჯერადაც ამჯობინა საუბარი კონკრეტულ მაგალითებზე აეგო. მან ილაპარაკა ამავე კოლმეურნეობის წევრის—კატო შიუკაშვილის შრომითი წარმატების შესახებ. კატო შიუკაშვილი 66 წლის ქალია. სამამულო ომი რომ დაიწყო, 5 ვაჟკაცი—დიმიტრი, ილია, შალვა, ალექსანდრე და გიორგი გაისტუმრა ფრონტზე. მათ ასახელეს მშობელი. ჭაღარა დედა კი თავდადებული შრომით უმაგრებდა ზურგს ფრონტელ შვილებს. მიმდინარე წელს მან 280 შრომადღე გამოიმუშავა.

აგიტატორის საუბრის დამთავრების შემდეგ კატო შიუკაშვილი მოუყვა კოლმეურნეებს იმ სიდუხჭირისა და გაჭირვების შესახებ, რასაც განიცდიდნენ მშრომელები წყეულ წარსულში. საუბარი მიმზიდველი იყო. საინტერესოდ ატარებენ აგიტსაუბრებს ამავე კოლმეურნეობის აგიტატორები გ. ბელოევა და ოლღა ხეთაგური.

აგიტატორები დაუღალავად მუშაობენ სოფელ მჭედლიშვილების კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობის თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი ხშირად ესწრება აგიტატორთა საუბრებს, ეხმარება მათ. ეს მუშაობის ხალისს მატებს აგიტატორებს. გატაცებით მუშაობენ აგიტატორები თამარ მანჩხაშვილი და სარა გომარელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის გაცხოველებული მზადებაა გაჩაღებული რკინიგზის ხაშურის კვანძზე. აქ 127 აგიტატორი მუშაობს. სახელი მოიხვეჭა საელმავლო დეპოს ორდენოსანმა ოსტატმა კომუნისტმა აგიტატორმა ლევან ქვირიამ. იგი საუბრებს მეტად საინტერესოდ ატარებს. იშვიათია, რომ მისმა მსმენელმა გააცდინოს საუბარი. დაკისრებულ მოვალეობას წარმატებით ასრულებენ აგრეთვე აგიტატორები ვახტანგ ქიტიაშვილი (სავაგონო დეპო), ივანე მარმალიძე, ბეჟან აბაზაძე (გვერდისუბანი), ანა ვაშალომიძე, ქსენია ბადრიშვილი, ვერა გრიგალაშვილი, მარო კაკაბაძე და სამუილ ჰყოიძე (ქალაქი).

ახლოვდება 1946 წელი. იმედითა და სიხარულით მიელის მას ყოველი საბჭოთა ადამიანი. ამ წელს მოხდება საბჭოთა პარლამენტის არჩევნები.

ხაშურის რაიონი, ისე როგორც ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონები, სასახელო საჩუქრებით შეხვდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს.

გ. ფოფხაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანი.

თელავის საგრენაჟო ქარხნის აგრონომი ნათელა ხეხნიაშვილი (მარჯვნივ) ეცნობა აბრეშუმის პეპლის ანალიზს.

ფოტო რ. აკოფოვისა

საბჭოთა საქართველოს XXV წლის თავის აღსანიშნავად

ინყება ხარატების საქალაქო შეჯიბრება

კიროვისა და ორჯონიკიძის სახელობის ქარხნების ხარატთა ინიციატივა

სტახანოველი მჭედლების ინიციატივამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავის აღსანიშნავად თბილისის საუკეთესო მჭედლის სახელწოდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ლითონდამმუშავებელ საწარმოთა ყველა პროფესიის მუშებს შორის. ერთ-ერთნი პირველნი მჭედელთა ინიციატივას გამოეხმაურნენ თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნისა და ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველი ხარატები.

კიროვის სახელობის ქარხანაში გუშინ შესდგა მოწინავე ხარატთა თათბირი. განხილულ იქნა ხარატთა შორის საქალაქო პირველობისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საკითხი. საქარხნო პარტორგანიზაციის მდივანმა კ. გოგლიძემ გააცნო რა დამსწრეთ მჭედელთა შეჯიბრების მიმდინარეობა, მოუწოდა ხარატებს არ ჩამორჩნენ მათ. მექანიკური საამქროს სტახანოველმა ხარატმა ი. უკოლოვმა მოიწონა ხარატთა საქალაქო შეჯიბრების იდეა და პირადად იკისრა 1946 წლის განმავლობაში ყოველთვიური საწარმოო დავალებები შეასრულოს 300 პროცენტით, 25 თებერვლამდე განახორციელოს ახალი რაციონალიზატორული წინადადება და ახალმოსულთაგან მოამზადოს ერთი ხარატი. ამხ. უკოლოვმა პირადად შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის სტახანოველი ხარატი ამხ. წიკლაური.

ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრეს და ხარატთა საქალაქო შეჯიბრებაში ჩაებნენ ამხ. ვ. ემილიანოვი, ი. პეტრიაევი, ს. ზამულა, ი. მატვეევი, მ. ბოროდაკოვი, მ. ასტახოვი, ნ. ვორონკოვი, ი. ნევზოროვი და გ. ბერიაშვილი.

ხარატებს ყოველმხრივი დახმარება აღუთქვეს დ. გოგოლაძემ (მექანიკური საამქროს უფროსი), გ. როდონაიამ (საინსტრუმენტო საამქროს უფროსი) და ა. ბელიაკოვმა (პირველი საამქროს პარტორგი).

ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში 24 დეკემბერს საღამოს გაიმართა ქარხნის მოწინავე ხარატების თათბირი, რომელმაც მოწოდებით მიმართა თბილისის ლითონდამმუშავებელ საწარმოთა ხარატებს ჩაებან საქალაქო პირველობისათვის შეჯიბრებაში.

თათბირზე სიტყვები წარმოსთქვეს ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ლ. აივაზოვმა, საქარხნო პარტორგანიზაციის მდივანმა ნ. ავაქოვმა, ხარატებმა ვ. ამირგულოვმა, ბ. გორამ, თ. გოგინაშვილმა, გ. ტერტეროვმა, ვ. ბოჩკალოვმა, მ. სელიპანოვმა და სხვ. ხარატებმა იკისრეს ახალი საწარმოო ვალდებულებანი. მათ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატები.

კახეთის ნავთსაძიებო უბნებზე

წითელწყარო („კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან). კავთისხევის ნავთსაძიებო უბნის კოლექტივის მიმართვამ საქართველოს ნავთის ყველა მაძიებლისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ აქ ფართო გამოხმაურება ჰპოვა. ყველგან შესდგა ნავთის მაძიებელთა საერთო კრებები, სადაც განიხილეს კავთისხეველთა მიმართვა და იკისრეს ახალი საწარმოო ვალდებულებანი. კახეთის ნავთსაძიებო უბნებზე ახალი შრომითი აღმავლობა დაიწყო.

მირზაანის უბანზე ჭაბურღილი, რომლის გაბურღვასაც ნავთის ოსტატი ს. კოჩიევი ხელმძღვანელობდა, ვადაზე 9 დღით ადრე 22 დეკემბერს დამთავრდა და გადაეცა საექსპლოატაციოდ. გააძლიერეს მუშაობის ტემპი მირზაანისა და შირაქის ნავთის სარეწაოების კოლექტივებმა. სწრაფად ბურღავს იწყებენ მლაშისხევისა და იორის ნავთსაძიებო უბნებზე.

მირზაანის უბნის ნავთის მაძიებელთა კოლექტივმა იკისრა 10 თებერვლისათვის—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის ერთი ჭაბურღილი გაბურღოს 1.300 მეტრის სიღრმეზე, ხოლო მეორე ჭაბურღილი საექსპლოატაციოდ გადასცეს. მირზაანელებმა პირობა დასდეს საბურღავი დანადგარის მიხედვით ბურღვის ტემპი აიყვანონ თვეში 220 მეტრამდე, 1946 წლის განმავლობაში მოამზადონ ბურღვის 2 ოსტატი, 6 მბურღავი, ამდენივე მბურღავის თანაშემწე და 6 კოშკზე მომუშავე.

მლაშისხევის ნავთსაძიებო უბნის კოლექტივმა იკისრა 10 თებერვლისათვის დაამთავროს ერთი ჭაბურღილის ამოღება, მეორე ჭაბურღილი გაბურღოს 25 თებერვლისათვის, 1946 წელს ბურღვის გეგმა შეასრულოს 25 დღით ადრე, ბურღვის თვითღირებულება შეამციროს 10 პროცენტით და ბურღვის სისწრაფე გაზარდოს ყოველი დაზგის მიხედვით თვეში 250 მეტრამდე. მლაშისხეველებმა ვალდებულება აიღეს მომავალი წლის განმავლობაში 10 მბურღავის, 10 მბურღავის თანაშემწის, 4 ელექტრომონტიორის, 10 კოშკზე მომუშავის, 8 ზეინკლის, 8 მემანქანის, 6 მოტორისტისა და 15 მზეთავის მომზადება.

ახალი საწარმოო ვალდებულებანი იკისრა იორის ნავთსაძიებო უბნის კოლექტივმაც.

22 დეკემბერს წითელწყაროში შესდგა კახეთის ნავთსაძიებო უბნის მოწინავე ადამიანთა შეკრება, რომელიც მოწვეული იყო საქართველოს ნავთის ტრესტის ბურღვის კანტორის მიერ. შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ თ. საპოჟნიკოვი (ბურღვის კანტორის დირექტორი), ს. ჯამბერიძე (მირზაანის ნავთსაძიებო უბნის უფროსი), დ. ჯაყელი (მლაშისხევის ნავთსაძიებო უბნის უფროსი), ნ. შალხოშვილი (ბურღვის ოსტატი), რ. საგატელოვი (იორის ნავთსაძიებო უბნის უფროსი) და საქართველოს ნავთის მრეწველობის მოწინავე ადამიანები—ა. ზაგაევი, მ. ახმედოვი, დ. ადოშირინი, ა. შახბურალოვი და სხვ.

შეკრებამ წერილით მიმართა ნორიოს ნავთსაძიებო უბნის კოლექტივს ჩაებას კავთისხეველთა თაოსნობით დაწყებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ახალი საწარმოო მიღწევებით აღნიშნოს არჩევნების დღე—10 თებერვალი და საქართველოს მშრომელთა დიდი დღესასწაული—25 თებერვალი.

კ. მჭედლიშვილი

ქარხანა „დაზგამ" შეასრულა წლიური გეგმა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXV წლისთავის აღსანიშნავად სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას თბილისის ქარხანა „დაზგის" კოლექტივმა (დირექტორი ამხ. ბოკერია, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ლვამიჩავა, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. შჩერბაკოვი) იკისრა 1945 წლის საწარმოო გეგმა ვადამდე შეესრულებინა.

ეს ვალდებულება ქარხნის კოლექტივმა უკვე განაღდა—20 დეკემბრისათვის შეასრულა როგორც სასაქონლო, ისე საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება.

ლითონი გეგმის გადამეტებით

ზესტაფონი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ზესტაფონელი მეტალურგები წარმატებით ამთავრებენ სამეურნეო წელს. ფეროშენადნობების საამქრომ, რომელსაც მ. რაზმაძე ხელმძღვანელობს, ვადამდე შეასრულა ლითონის გამოდნობის წლიური გეგმა. საამქროს კოლექტივმა იკისრა დეკემბერში წლიური გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცეს ერთი მილიონი მანეთის მაღალხარისხოვანი ლითონი. ამ ვალდებულების შესასრულებლად ენერგიულად მუშაობენ სტახანოველი მეტალურგები ვ. ჩიტორელიძე, დ. ჰიჰინაძე და გ. ქორელიანი. ისინი ლითონის გამოდნობის ყოველდღიურ დავალებებს 150 პროცენტით ანაღდებენ.

პ. ჭილაძე

საქართველოში რუსული თეატრის არსებობის 100 წლისთავი

პროფესიული დასის პირველი რუსული წარმოდგენა საქართველოს დედაქალაქ თბილისში გაიმართა 1845 წლის 20 სექტემბერს (ახალი სტილით 2 ოქტომბერს). წარმოადგინეს ვოდევილები: „რაცა გვაქვს, არ ვუფრთხილდებით და როს ვკარგავთ — ვტირით"—სოლოვიოვისა, „ვექილი მაგიდის ქვეშ"—ფრანგულიდან გადმოკეთებული ლენსკის მიერ. დასი შესდგებოდა სტავროპოლის, ტაგანროგის, ეკატერინოდარის, ხარკოვის, სიმფეროპოლისა და ოდესის დასების ყოფილ მსახიობთაგან, ხოლო თეატრის დირექცია—იმდროინდელი სამხედრო და სამოქალაქო მოღვაწეებისაგან, რომელთა შორის იყო ალექსანდრე ჭავჭავაძეც.

ამ დასის შესახებ მეფის ნაცვალი ვორონცოვი სწერდა საიმპერატორო თეატრების დირექტორს: „თბილისში ჩემი ჩამოსვლისთანავე ყურადღება მივაქციე თეატრის უქონლობას და მისი დაარსება არათუ ზედმეტად, არამედ მრავალმხრივ მეტად სასარგებლოდ მივიჩნიე... პირველმა წარმატებამ, თუმცა საკმაოდ ცუდი დასისამ, გაამართლა ჩვენი მოლოდინი... წარმოდგენებს საზოგადოება მუდამ ესწრებოდა და შემოსავალი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. ახლა კი უკეთ მოწყობილი თეატრი და უკეთესი დასია საჭირო". შემდეგ მეფის ნაცვალი თხოვნით მიმართავს საიმპერატორო თეატრების დირექტორს დაეხმაროს ახალი დასის შედგენაში. 1846 წლის 8 თებერვალს მეფის ნაცვალი ცალკე წერილით სთხოვს ცნობილ მსახიობს მ. შჩეპკინს დაეხმაროს მის წარმომადგენელს თბილისისათვის რუსული დასის შეკრებაში. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად, თბილისისათვის შედგენილ იქნა ახალი დასი. ამასთან საჭირო იყო ზრუნვა ახალი თეატრალური შენობისათვის. მანეჟის თეატრი, სადაც დროებითი სცენა იყო მოწყობილი 1845-46 წლის სეზონისათვის, მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. მართლაც, ქალაქის ცენტრში, სადაც ამჟამად ბერიას მოედანია, აგებულ იქნა სპეციალური ქარვასლა თეატრითურთ. ამ შენობას საფუძველი ჩაუყარეს 1847 წლის 15 (27) აპრილს. 1851 წლის აპრილში თეატრის მშენებლობა დამთავრდა. შიგნით თეატრი მოხატული იყო მხატვარ გაგარინის მიერ. ფრანგმა მწერალმა ალექსანდრე დიუმამ 1859 წელს ნახა ეს თეატრი და განაცხადა: „ჩემს სიცოცხლეში თითქმის ყველა თეატრი მინახავს, მაგრამ მათ შორის სილამაზით ვერც ერთი ვერ შეედრება თბილისის თეატრსო".

რუსულმა თეატრმა დასდგა „მამა და ქალიშვილი"—დრამა, „ლუდმილა" — მელოდრამა, „საარდამელი გემის ოსტატი" — კომედია; ვოდევილები: „ვექილი მაგიდის ქვეშ", „ხალხში ცოლი კი არა—ანგელოზი, შინ კი, ქმართან, ჯოჯოხეთი", „შელმენკო", „ნატალკა-პოლტავკა", „ცოლის გარიგება განჩაროვკაზე", „ჩხუბისთავი ცოლი", „მოსკალი ქალაქში".

პირველ 5-6 წელიწადს რუსული თეატრი საქართველოში როგორც რეპერტუარის, ისე სამსახიობო ოსტატობის მხრივ მოიკოჭლებდა. 1851 წლიდან, როცა მოსკოვიდან და პეტერბურგიდან გამოწვეული მსახიობები ჩამოვიდნენ, მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ დიდ წინსვლას მაინც არ ჰქონია ადგილი.

1867 წელს თბილისის რუსულ თეატრს სათავეში ჩაუდგა ცნობილი მსახიობი და რეჟისორი იაბლოჩკინი. ამ დროიდან რეპერტუარში ადგილი დაიკავეს ა. გრიბოედოვმა, ნ. გოგოლმა, ა. ოსტროვსკიმ. დასიც უფრო გაძლიერდა.

1874 წელს მოხდა უბედური შემთხვევა—დაიწვა თეატრის შენობა. რუსული დასი იძულებული გახდა მეთულუხჩეების ქუჩაზე გადასულიყო. 1877 წელს რუსული თეატრის ხელმძღვანელობა იკისრა პალმიმ. ამ დროისათვის რუსული წარმოდგენები აგრეთვე იმართებოდა სცენისმოყვარეთა მიერ ქუთაისში, ახალციხეში, გორში—სამხედრო ნაწილთა განლაგებასთან დაკავშირებით. საქართველოში გასტროლებზე ჩამოდიან ცნობილი რუსი მსახიობები: სავინა, ფედოტოვა, დავიდოვი, პრავდინი, ლენსკი, სუმბათაშვილი-იუჟინი. რუსი კლასიკოსების ნაწარმოებთა გვერდით ჩნდებიან [illegible] სუმბათაშვილის პიესები. ცალკეულ გასტროლიორებთან ერთად წარმოდგენებს მართავენ მცირე თეატრისა და სხვა კოლექტივები.

1888 წელს არსდება არტისტული საზოგადოება. ძლიერდება თეატრალური საქმიანობა. იქმნებიან დრამატიული წრეები, მათ შორის რუსულიც. 1901 წლისათვის მთავრდება არტისტული საზოგადოების შენობის აგება (დღევანდელი რუსთაველის სახელობის თეატრი). აქ სეზონი 1901 წლის 8 თებერვალს გაიხსნა გრიბოედოვის კომედიით „ვაი ჭკუისაგან". შემდეგ იდგმება გოგოლის „რევიზორი", ოსტროვსკის „სიღარიბე მანკი არ არის" და სხვა პიესები.

მუდმივი დასის არსებობასთან ერთად თბილისში დროებით ჩამოდიან რუსული სცენის ცნობილი ოსტატები კომისარჟევსკაია, ვარლამოვი, პეტიპა, ხოდოტოვი, დოლმატოვი, ძმები ადელგეიმები, ორლენევი. ზოგიერთი მათგანი ქუთაისსაც ესტუმრა, მაგალითად, კომისარჟევსკაია, სავინა, ადელგეიმები, ორლენევი.

1910 წელს სახალხო სახლთან არსდება რუსული დრამატიული წრე, რომელიც მუშათა წრეების მომსახურებას ისახავს მიზნად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე თბილისში მუშაობს XI არმიის მოძრავი თეატრი. შემდეგ შეიქმნა „სატირა-აგიტკის" თეატრი. 1922 წელს ჩამოყალიბდა პროლეტარული თეატრი ნ. შესტოვის ხელმძღვანელობით. 1924 წელს შეიქმნა „წითელი თეატრი" სახალხო სახლთან.

1925 წელს მოეწყო მოსკოვის სამხატვრო თეატრის გასტროლები. შემდეგ გასტროლებზე თბილისში იყვნენ მჭედლიშვილისა და ვახტანგოვის სტუდიები. 1926-27 წლებში ყალიბდება რუსული მუშათა თეატრი. 1927 წელს შეიქმნა მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი. 1933 წელს ლ. პ. ბერიას ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის თეატრს, რომელიც ამჟამადაც წარმატებით მუშაობს.

დრამატიული თეატრის გვერდით აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ მუსიკალური თეატრი — ოპერა. 1879 წლიდან თბილისში იდგმება რუსული ოპერები. არ დარჩენილა რუსული ოპერის არც ერთი მნიშვნელოვანი მსახიობი, რომელსაც ან თბილისში არ დაეწყოს თავისი კარიერა (მაგალითად, შალიაპინი, დავიდოვი), ან შემდეგში არ ჩამოსულიყოს აქ და თავისი წვლილი არ შეეტანოს ვოკალური ხელოვნების განვითარებაში (იაროვი, ლოდი, შტოლცი—ვერდის ყოფილი ცოლი, აიდას პირველი შემსრულებელი, გამოჩენილი ტენორი ვილლა, ზარიტნაია—იპოლიტ-ივანოვის მეუღლე, სახელგანთქმული კარმენი—სმირნოვა, ტარტაკოვი, იაკოვლევი და სხვები).

თბილისში გაიკაფეს გზა ჩაიკოვსკის ოპერებმა „ევგენი ონეგინმა" და „მაზეპამ". ჩაიკოვსკის ძლიერ უყვარდა თბილისი და მას ფლორენციას ადარებდა. თბილისში ჩაისახა მისი „მძინარე ტურფა", „იოლანტა", „პიკის ქალი".

რუბინშტეინსაც ძლიერ უყვარდა თბილისი. იპოლიტოვ-ივანოვი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა აქ როგორც კომპოზიტორი, დირიჟორი და პედაგოგი. ერთხანს იყო კონსერვატორიის ხელმძღვანელადაც.

მართალია, თბილისში რუსულ თეატრს ზოგჯერ ჰქონდა თავის რეპერტუარში სუსტი ვოდევილები, კომედიები და დრამები, მაგრამ ძირითადად იგი მოწინავე საკაცობრიო იდეების მატარებელი იყო. თეატრი ჰქადაგებდა ძმობის, მეგობრობის, საკაცობრიო პროგრესის იდეებს, საუკეთესო დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ქართულ ხელოვნებასთან, ქართულ თეატრთან.

რუსული თეატრის ასი წლის ისტორია საქართველოში არის ქართული და რუსული კულტურის მტკიცე კავშირის მაჩვენებელი. საწინდარი უფრო დიდი წარმატებებისა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამხანაგ **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხებმა კაცობრიობის უბოროტეს მტერთან ბრძოლაში ასე ბრწყინვალედ გაიმარჯვეს.

პროფესორი აკ. ფალავა

კონკურსი საბავშვო პიესაზე

მიმდინარე წლის მაისში საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო თანამედროვე საბავშვო პიესაზე. კონკურსზე წარმოდგენილი იყო 20 პიესა.

ჟიურიმ ამ დღეებში განიხილა კონკურსის მასალები.

პირველი და მეორე პრემია არ მიეკუთვნა არავის, მესამე პრემია თხუთმეტ-თხუთმეტი ათასი მანეთის რაოდენობით მიეკუთვნა: პიესას—„გურამის შეცდომა"—ავტორი გ. ქელბაქიანი და პიესას—„ბაღნარში"—ავტორი ქ. გოგიაშვილი.

პრემირებული პიესები შეძენილ იქნება ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ თეატრებში დასადგმელად.

ყირიმის ჯანმრთელობის კერები

სიმფეროპოლი, 23 დეკემბერი. (საკდეპი). 25 წელი შესრულდა ყირიმის კურორტების შესახებ ვ. ი. ლენინის მიერ დეკრეტის ხელმოწერის დღიდან. მეფის კარისკაცთა საუცხოო სასახლეები გამოყენებულ იქნა მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის კერებად. ყირიმში სამკურნალოდ და დასასვენებლად იწყეს ჩასვლა მუშებმა და გლეხებმა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქ აშენდა ახალი სანატორიუმები, ისეთები, როგორიცაა დოლოსი, სოსნიაკი, ზოლოტოი პლიაჟი, კურპატი, სრულიად საკავშირო პიონერთა ბანაკი არტეკი, გაიხსნა ჯანმრთელობის ახალი კერები ევპატორიაში, საკსა, ფეოდოსიაში, სტარი კრიმსა და სუდაკში.

1946 წლისათვის სამხრეთ სანაპიროს ჯანმრთელობის კერებში ითვლებოდა 20 ათასი სანატორიული საწოლი. ყირიმში სამკურნალო ჰავა, სამხრეთული მზე, ფირუზისფერი ზღვა, მშვენიერი მთები და უხვი მარადმწვანე მცენარეულობა ყოველწლიურად 250-300 ათას დამსვენებელს იზიდავდნენ.

გერმანელ დამპყრობთა შემოსევამ საბჭოთა ადამიანებს მოაკლო ყირიმის ჯანმრთელობის კერები. გერმანელებმა უკანდახევის წინ გაძარცვეს და გაძარცვეს ყირიმის სასახლეები, დაანგრიეს და დაწვეს ბევრი სანატორიუმი.

ოკუპანტებისაგან ყირიმის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისთანავე დაიწყო კურორტების აღდგენა. მოკლე ვადაში აქ გაიშალა ჰოსპიტლებისა და სანატორიუმების ქსელი ფრონტელებისათვის. ამჟამად ყირიმის სამხრეთ ნაპირზე არის 40-ზე მეტი სანატორიუმი. წელს ზაფხულის სეზონში აქ 25 ათასი კაცი მკურნალობდა.

ბერლინის სამოკავშირეო კომენდატურის სხდომა

ბერლინი, 22 დეკემბერი. (საკდესი). 21 დეკემბერს ამერიკელი კომენდანტის გენერალ-მაიორ ბარკერის თავმჯდომარეობით შესდგა ბერლინის სამოკავშირეო კომენდატურის 22-ე სხდომა.

კომენდანტებმა გამოსცეს ბრძანება მაგისტრატისადმი, რომელიც მოითხოვს იმ საწარმოებში, რომელთაც 10-ზე მეტი მუშა ჰყავთ, სამუშაოზე მძიმედ და მსუბუქად დაშავებულ პირთა მიღებას. ეს ეხება ინვალიდებს 15-65 წლის ასაკამდე, მაგრამ არ ვრცელდება ნაცისტებზე.

კომენდანტებმა გადასწყვიტეს მაგისტრატის შრომითს განყოფილებას გაუგზავნონ ინსტრუქცია იმ გერმანელ სამოქალაქო პირთა ხელფასის შესახებ, რომელთაც მოკავშირეთა საოკუპაციო ხელისუფალნი სამუშაოდ იყენებენ.

კომენდანტებმა ქალაქ ბერლინის მაგისტრატს დაუმტკიცეს 1945 წლის დეკემბრისათვის თხევადი სათბობის ლიმიტი. ამავე დროს კომენდანტებმა ხაზგასმით აღნიშნეს საწვავის ხარჯვისადმი მკაცრი კონტროლის დაწესების საჭიროება.

კომენდანტებმა ნება დართეს ქალაქის ობერბურგომისტრს 4 მილიონი მარკა დახარჯოს 10 ათასი საჰოსპიტლო საწოლის მოსაწყობად ზამთრის პირობებში და კიდევ 10 ათასი საწოლის შესაძენად ეპიდემიების შემთხვევისათვის. ობერბურგომისტრს ნება მიეცა 200 ათასი მარკის კრედიტი მისცეს პროტესტანტული ეკლესიის სამრევლოებს ჯამაგირის გადასახდელად იმ პირობით, რომ ეს თანხა სულ მცირე ექვსი თვის შემდეგ უნდა დააბრუნონ.

კომენდანტებმა მოიწონეს ბრძანების პროექტი ბერლინის საპატიმროებში გერმანელ მეთვალყურეთა შეიარაღების შესახებ. მეთვალყურეებს იარაღსა და საომარ მასალას მისცემენ სათანადო სამხედრო სამმართველოები და ეს იარაღი გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ სპეციალური სავუშაგო სამსახურის შესრულების დროს.

ობერბურგომისტრს ნება მიეცა კვლავ შეაგროვოს გადასახადი იმ ქონებისა, რომელსაც ფასი მოემატა.

კომენდანტები დასთანხმდნენ გერმანიის თავისუფალი პროფკავშირების თხოვნას ჩატარებულ იქნას საქალაქო კონფერენციის დელეგატების ახალი არჩევნები პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის ასარჩევად იმის გამო, რომ მას შემდეგ, რაც უკანასკნელი არჩევნები ჩატარდა, პროფკავშირთა წევრების რაოდენობა მნიშვნელოვნად გადიდდა. ყოველმა ამომრჩეველმა პირადად უნდა ჩააგდოს თავისი ბიულეტენი საარჩევნო ყუთში. დიდი ბერლინის პროფკავშირთა ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტი სულ მცირე 6 თვის განმავლობაში მოამზადებს და სამოკავშირეო კომენდატურას წარუდგენს პროფკავშირთა სტრუქტურისა და წესდების პროექტს.

დაწესებულია, რომ გაერთიანებული ერების დეკლარაციის ხელმომწერი ქვეყნების მოქალაქეები, რომელთაც ორგანიზებული კვება არა აქვთ, მიიღებენ ერთი კატეგორიით უფრო მაღალ სასურსათო ბარათებს, ვიდრე მათი მუშაობის კატეგორიას შეესაბამება.

კომენდანტებმა დაამტკიცეს ციფრობრივი ცნობები იმ სურსათის რაოდენობის შესახებ, რაც ოთხმა მოკავშირე ქვეყანამ ბერლინს მიაწოდა 1945 წლის ნოემბერში.

კომენდანტებმა გადასწყვიტეს 1945 წლის 24 დეკემბრიდან გააუქმონ ქალაქ ბერლინში ღამით სამოქალაქო მოსახლეობის მოძრაობის შეზღუდვა. მაგრამ შეზღუდვა აღდგენილ იქნება ყოველ დროს, როცა ამას ვითარება მოითხოვს. ობერბურგომისტრს წინადადება მიეცა გააფრთხილოს ქალაქ ბერლინის ყველა მცხოვრები, რომ აკრძალულია კორესპონდენციის არაოფიციალური გზავნა. ამ კანონის დამრღვევნი სასტიკად დაისჯებიან.

კომენდანტებმა გადასწყვიტეს შეაიარაღონ ქალაქ ბერლინის გერმანელთა პოლიცია იმ ინსტრუქციების შესაბამისად, რომლებიც შემდეგ გამოიცემა.

ქ-ნ რუზველტის განცხადება პრეს-კონფერენციაზე

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი. (საკდესი). 20 დეკემბერს ქ-ნი რუზველტი პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა და განაცხადა, რომ იგი დასთანხმდა დაიკავოს „იუგოსლავიისადმი დახმარების ამერიკული კომიტეტის" საპატიო თავმჯდომარის პოსტი. ქ-ნმა რუზველტმა აღნიშნა „გერმანიაში სასურსათო ულუფების გადიდებისათვის კამპანიის ზრდა, რამაც უკვე მოიპოვა კონგრესის ზოგიერთი წევრისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირთა დახმარება", და წინადადება შეიტანა, რათა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება მიაქციონ მოკავშირე ქვეყნების მოსახლეობის გაჭირვებასა და ტანჯვას „რა სასტიკი ირონიაა იმაში, რომ იუგოსლაველი ხალხი უფრო ნაკლებ სურსათს იღებს, ვიდრე გერმანელები. იუნრას ორგანომ გამოაცხადა, რომ, მის მიერ მოხდენილი გამოანგარიშებით, იუგოსლავიის თითოეული მცხოვრები ყოველდღიურად იღებს 900-950 კალორიას, მაშინ როცა თითოეული გერმანელი იღებს 1.300-1.550 კალორიას".

ნოტების გაცვლა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იუგოსლავიას შორის

ვაშინგტონი, 22 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა იუგოსლავიის მთავრობის ნოტა, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტს ატყობინებს, რომ იუგოსლავია გამოცხადებულია რესპუბლიკად, და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პასუხი ამ ნოტაზე. პასუხში ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მხედველობაში იღებს ელჩის 1945 წლის 10 დეკემბრის ნოტის შინაარსს და სცნობს იმ ცვლილებებს, რომლებიც შეტანილია იუგოსლავიის კონსტიტუციაში, და რესპუბლიკის დაწესებას „იუგოსლავიის ფედერატიული სახალხო რესპუბლიკის" სახელწოდებით ნოტაში მოხსენებულ დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებათა შესაბამისად. იგულისხმება, რომ საერთაშორისო ჩვეულებისამებრ, იუგოსლავიის ახალი მთავრობა, როგორც ერების ოჯახის წევრი და როგორც ერთ-ერთი წევრი, რომელმაც ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების დეკლარაციის პრინციპებს, იკისრებს იუგოსლავიის საერთაშორისო მოვალეობათა პასუხისმგებლობას და მზად იქნება დაადასტუროს, რომ სცნობს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იუგოსლავიას შორის არსებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მას შემდეგ, რაც მიიღებს დარწმუნებას ამის თაობაზე, მზად არის ამერიკის ელჩს ბელგრადში მისცეს სათანადო რწმუნების სიგელები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის უფლებებს ანიჭებენ მას იუგოსლავიის ახალ მთავრობასთან.

ინგლისის მთავრობის ნოტა იუგოსლავიაში რესპუბლიკური წყობილების ცნობის შესახებ

ლონდონი, 22 დეკემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ იუგოსლავიის ელჩმა ლონდონში და ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნოტები გასცვალეს ინგლისის მიერ იუგოსლავიის სახალხო რესპუბლიკის ცნობასთან დაკავშირებით. ინგლისის მთავრობის ნოტაში ნათქვამია: ინგლისის მთავრობა სცნობს იუგოსლავიის წყობილებაში მომხდარ ცვლილებას და რესპუბლიკური კონსტიტუციის შემოღებას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშახელის სამართლიანი დაქირავების უზრუნველყოფის კომისიის მოქმედების განგრძობა

ვაშინგტონი, 23 დეკემბერი. (საკდესი). 20 დეკემბერს პრეზიდენტმა ტრუმენმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომელიც ნებას იძლევა 30 ივნისამდე გაგრძელებულ იქნას „მუშახელის სამართლიანი დაქირავების უზრუნველყოფის კომისიის" მოქმედება. ამჟამად ეს კომისია, რომელიც მიზნად ისახავს მუშახელის დაქირავებისას რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლას, მნიშვნელოვნად შემცირებული მასშტაბებით მოქმედებს ომიანობის დროის მოქმედებასთან შედარებით, ვინაიდან კონგრესმა არ მისცა საკმაო ფონდები.

ვაშინგტონი, 23 დეკემბერი. (საკდესი). „მუშახელის სამართლიანი დაქირავების უზრუნველყოფის კომისიის" თავმჯდომარემ როსმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ზანგი მუშების მდგომარეობა მრეწველობაში, რაც ომის დროს გაუმჯობესდა, ახლა კვლავ უარესდება. 1942 წელს ზანგები შეადგენდნენ სამხედრო მრეწველობის მუშების 2 პროცენტს, 1944 წლის ნოემბერში კი — 8,3 პროცენტს. ზანგები ახერხებდნენ კვალიფიციურ მუშებად მოწყობას. მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და ზანგებს პირველ რიგში ითხოვენ სამუშაოდან. იაპონიის კაპიტულაციის ერთი თვის შემდეგ ზანგები შეადგენდნენ მთელი მრეწველობის მუშების 11 პროცენტს, მაგრამ იმ მუშათა შორის, რომლებმაც ამ თვის განმავლობაში სამუშაო დაჰკარგეს, ზანგები 18 პროცენტს შეადგენენ. იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ უმუშევრობა ზანგებს შორის ნიუ-იორკში ერთი ორად უფრო ჩქარა იზრდებოდა, ვიდრე თეთრებს შორის. ასეთივე მოვლენა იყო მრეწველობის სხვა ცენტრებშიც. მუშახელის დაქირავების ამერიკული ბიურო იუწყება, რომ მეწარმეები 50 შემთხვევაში ასიდან უარს ამბობენ თავისუფალ ადგილებზე ზანგების მიღების შესახებ.

მიხაილოვიჩის ბანდის მონაწილეთა გასამართლება სლოვენიაში

ბელგრადი, 22 დეკემბერი. (საკდესი). 19 დეკემბერს ლუბლიანის საოლქო სახალხო სასამართლოში დაიწყო მიხაილოვიჩის ბანდის მონაწილეთა, აგრეთვე სლოვენელ „დომობრანცების" მეთაურთა ჯგუფის პროცესი, რომლებიც ოკუპანტთა მხარეზე იბრძოდნენ იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის წინააღმდეგ. საბრალდებო სკამზე ზის 34 კაცი, მათ შორის გაზეთ „იუტროს" ყოფილი რედაქტორი ვრჩონი, მრეწველი ლაიოვიჩი, იუგოსლავიის ძველი არმიის მაიორი ბუშევიჩი და სხვები.

საბრალდებო დასკვნა ამჟღავნებს იუგოსლავიის ყოფილი პოლიტიკური პარტიების. იუგოსლავიის „რადიკალური გაერთიანების" და იუგოსლავიის „ეროვნული პარტიის", აგრეთვე სლოვენიის „სახალხო პარტიის" (სლოვენსკა ლიუდსკა სტრანკა) გამცემლობას. ამ პარტიების ხელმძღვანელთა დახმარებით იტალიელი ოკუპანტები სლოვენიაში ჰქმნიდნენ ეგრეთწოდებულ „მოხალისე მილიციას" სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად. როდესაც გამცემნი დარწმუნდნენ, რომ ხალხი მალე გაერკვია იმაში, თუ რას წარმოადგენს ეს „მილიცია", მათ ტაქტიკა შეიცვალეს და ოკუპანტთა დახმარებით დაიწყეს შეიარაღებული რაზმების ჩამოყალიბება და ისინი გენერალ მიხაილოვიჩს დაუქვემდებარეს.

განსაკუთრებული განყოფილება საბრალდებო დასკვნაში მიძღვნილია სლოვენიის „დომობრანსტვოსადმი", როგორც სს-ელთა მიერ შექმნილი და ნახელმძღვანელევი შეიარაღებული ორგანიზაციისადმი.

ამ საქმის გამო ბრალდებულთა შორის, იუგოსლავიის ძველი არმიის რამდენიმე ყოფილი ოფიცრისა, სახელმწიფო მოსამსახურეებისა და სხვების გარდა, არის კათოლიკე მღვდლების ჯგუფი, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებდნენ სლოვენელი პატრიოტების მკვლელობასა და დახვრეტაში.

იტალიაში აღმოაჩინეს არალეგალური ფაშისტური ორგანიზაცია

რომი, 23 დეკემბერი. (საკდესი). პრესის ცნობებით, მილანოში აღმოაჩინეს არალეგალური ფაშისტური ორგანიზაციის ახალი ცენტრი, რომელიც მოთავსებული იყო „ლტოლვილებისა და ომის ვეტერანებისათვის დახმარების პაპის კომისიის" შენობაში. იქ თავშესაფარს პოულობდნენ საპატიმროებიდან და ბანაკებიდან გაქცეული ფაშისტები. პოლიციამ დააპატიმრა 19 კაცი. გაჩხრეკის დროს წამოღებულია ბევრი ფაშისტური და მონარქისტული საპროპაგანდო ლიტერატურა და განსაზღვრული რაოდენობის იარაღი.

პოლონელი ჯარისკაცების რეპატრიაცია იტალიიდან

რომი, 23 დეკემბერი. (საკდესი). დამთავრდა პოლონეთის მეორე კორპუსის იმ 14 ათასი ჯარისკაცის ევაკუაცია, რომლებმაც განაცხადეს სამშობლოში დაბრუნების სურვილი.

19 დეკემბერს კაზერტის მახლობლად მდებარე სერვინარის ბანაკიდან გავიდა უკანასკნელი ეშელონი კორპუსის რეპატრირებულ ჯარისკაცებიანად.

ირანის აზერბაიჯანის მოსახლეობა მიესალმება ეროვნული მთავრობის შექმნას

თეირანი, 22 დეკემბერი. (საკდესი). როგორც თავრიზიდან იტყობინებიან, ირანის აზერბაიჯანის მოსახლეობა მხურვალედ მიესალმება ეროვნული მთავრობის შექმნას. გაზეთი „აზერბაიჯანი" სისტემატურად ბეჭდავს მრავალ წერილსა და დეპეშას ეროვნული მთავრობისადმი მისალმებებით. გაზეთის 19 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულია მისალმებანი, მიღებულნი თვით თავრიზიდან, აგრეთვე მაჰაბადიდან, მორაგედან, ახარიდან და სხვა ადგილებიდან. არდებილში შესდგა მიტინგი, რომელსაც ათასზე მეტი კაცი დაესწრო. მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ 12 დეკემბერი — ეროვნული მეჯლისის გახსნის დღე — აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიული დღესასწაულია. „ახლა,— ნათქვამია მისალმებაში, — ჩვენ ვიწყებთ ახალ ბედნიერ ცხოვრებას, რომლისთვისაც მრავალი წლის განმავლობაში ვიბრძოდით".

იუგოსლავიის გაზეთები ტრიესტის მოქალაქეებზე ფაშისტური თავდასხმის შესახებ

ბელგრადი, 23 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა ლუბლიანიდან იმის შესახებ, რომ 15 დეკემბერს საღამოს ტრიესტში მოხდა ამბავი, რომელმაც დიდად აღაშფოთა ქალაქის მოსახლეობა. ერთ-ერთ საგარეუბნო ქუჩაში მოქალაქეთა ჯგუფი სეირნობისას იმღეროდა ანტიფაშისტურ და პარტიზანულ სიმღერებს. უეცრად ერთი კაფედან გამოვარდა პოლიციელი იმ სამოქალაქო პოლიციიდან, რომელიც შედგენილია ინგლისელი სამხედრო ხელისუფლების მიერ, და ავტომატური რევოლვერის სროლა დაუწყო ჯგუფს. პოლიციელმა, რომელიც აღმოჩნდა ცნობილი ყოფილი ფაშისტი ემილიო ბილოზლავო, 13 ტყვია გაისროლა და დაჭრა 4 კაცი, მათ შორის ორი მძიმედ. ერთ-ერთი მძიმედდაჭრილი ცნობილი ტრიესტელი ფეხბურთელი მალე გარდაიცვალა საავადმყოფოში.

მეჯლისის დეპუტატი აკრიტიკებს თურქეთის მთავრობას

ანკარა, 19 დეკემბერი. (საკდესი). მეჯლისში ახალი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს მთავრობის მოქმედების მწვავე კრიტიკით გამოვიდა დეპუტატი ჰიქმეთ ბაიური. მან აღნიშნა მთავრობის ხელისუფალთა უუნარობა ხელი შეუშალოს თურქეთში სიძვირის ზრდას. მისი სიტყვით, პირველი საჭიროების საგნების ფასები თურქეთში, ომამდელ პერიოდთან შედარებით, 400 პროცენტზე მეტით გადიდდა. ჰიქმეთ ბაიურმა აღნიშნა სახელმწიფო და ეკონომიური ორგანიზაციების ცუდი მუშაობა და განაცხადა, რომ მოსახლეობა უკმაყოფილოა მთავრობის უუნარობით მოაწესრიგოს ეკონომიური მდგომარეობა და რომ ახლოვდება ქარიშხალი, რომელიც არ შეიძლება არ დავინახოთ და არ ვიგრძნოთ.

ჰიქმეთ ბაიურმა შემდეგ აღნიშნა, რომ მეჯლისი სათანადო კონტროლს არ უწევს მთავრობის მოქმედებას და დასასრულ განაცხადა, რომ მეჯლისის დეპუტატებს კი არ ირჩევენ, არამედ „ნიშნავს ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლება".

მანერჰეიმი პარიზს ჩავიდა

პარიზი, 23 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, დღეს პორტუგალიიდან პარიზს ჩამოვიდა მანერჰეიმი. იგი რამდენიმე დღეს დაჰყოფს პარიზში, ვიდრე ფინეთს დაბრუნდებოდეს.

ჩამერიიდან ემიგრირებულთა ანტიფაშისტური კომიტეტის მემორანდუმი

ტირანა, 23 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ბაშკიმიმ" გამოაქვეყნა ჩამერიიდან (საბერძნეთი) ემიგრირებულთა ანტიფაშისტური კომიტეტის მემორანდუმი, რომელიც გაეგზავნა სამი მინისტრის თათბირს მოსკოვში.

ამ მემორანდუმში აღნიშნულია, რომ 32 წლის განმავლობაში ზედიზედ საბერძნეთის პროვინცია ჩამერიის ალბანელთა უმცირესობას ულმობლად ახშობდნენ საბერძნეთის ხელისუფალნი და მათი სურვილის წინააღმდეგ ასახლებდნენ რაიონიდან. გერმანელთა განადგურების წინ ბერძენმა მონარქისტებმა და ფაშისტებმა ჰიტლერულ გესტაპოსთან ერთად ეპირში შეაგროვეს დაქირავებული ძალები, რომლებიც გენერალ ნაპოლეონ ზერვასის მეთაურობით შეიჭრნენ ჩამერიის პროვინციაში და ჟლეტა მოაწყეს. ისინი ხოცავდნენ მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს, სძარცვავდნენ და სწვავდნენ სოფლებს და თავიანთი ბარბაროსობით გამოიწვიეს ალბანელთა უმცირესობის ემიგრაცია ალბანეთის ტერიტორიაზე.

მემორანდუმში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბერძნეთის ხელისუფალთა მოქმედება სავსებით ეწინააღმდეგება ატლანტიკის ქარტიას, იალტისა და პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილებებს და ანტიფაშისტური ომის მონაწილეთა უფლებებს. საბერძნეთის ალბანელთა უმცირესობა რამდენჯერმე მიმართავდა დიდი მოკავშირეების სამართლიანობას და სთხოვდა ბოლო მოეღოთ საბერძნეთის ხელისუფალთა ბარბაროსობისათვის, მაგრამ დღემდე არა თუ მიღებული არ არის ღონისძიებანი ბარბაროსობის სულისჩამდგმელთა და ორგანიზატორთა წინააღმდეგ, არამედ ეს სამარცხვინო მოვლენა დაუსჯელი დარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ ალბანეთის ხალხი და მთავრობა, — ნათქვამია შემდეგ მემორანდუმში, — დიდ დახმარებას გვიწევს, ჩამერიის ემიგრანტთა მძიმე მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. 20 ათასი კაცის სახელით მემორანდუმი სთხოვს დიდ მოკავშირეებს ჩაერიონ და ბოლო მოუღონ საბერძნეთის ხელისუფალთა სამარცხვინო მოქმედებას, ჩამერიის ემიგრანტებს მისცენ სამშობლოში რეპატრიაციის ელემენტარული უფლებანი, დაუბრუნონ მათ თავიანთი ქონება და უზრუნველჰყონ მათი ოჯახების უშიშროება და ღირსება.

გაზეთ „ბაშკიმს" მოჰყავს მემორანდუმი და აცხადებს, რომ ჩამერიის 20 ათასი ემიგრანტის ხმა არის ხმა მთელი ალბანელი ხალხისა, რომელიც ხედავს ბერძენი ფაშისტების მიერ მიყენებულ უბედურებას.

მოითხოვენ მთავარ იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა გასამართლებას

ვაშინგტონი, 23 დეკემბერი. (საკდესი). ფილიპინელ იურისტთა გილდიამ 20 დეკემბერს ტრუმენს გაუგზავნა წერილი, რომლითაც მოუწოდებდა შექმნას საერთაშორისო ტრიბუნალი იაპონიის იმპერატორისა და შორეულ აღმოსავლეთში სხვა მთავარ სამხედრო დამნაშავეთა გასასამართლებლად. წერილში ჰგმობენ ტენდენციას — არ განიხილონ იაპონიის იმპერატორი, როგორც სამხედრო დამნაშავე, და ამტკიცებენ, რომ იმპერატორი დასჯილ უნდა იქნას, როგორც აგრესიის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი.

მდგომარეობა ინდონეზიაში

ლონდონი, 23 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „დეილი ექსპრესი" გადმოგვცემს, ინგლისის ხელისუფლებმა მედანაში, კუნძულ სუმატრაზე (ინდონეზია) კვლავ შეაიარაღეს იაპონელთა რაზმი უახლესი ტიპების ტანკებით იმისათვის, რომ „შეაჩერონ ინდონეზიელთა წინააღმდეგობა". გადასწვეს ინდონეზიელთა რამდენიმე სოფელი.

ლონდონი, 23 დეკემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისელთა სამხედრო შტაბი იავაზე ჰქმნის პარაშუტისტთა სპეციალურ რაზმს.

საომარი მოქმედება იავაზე

ლონდონი, 23 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ლონდონის რადიო იუწყებოდა, რომ ბატავიის მიდამოებში იავაზე დაიწყო ბრძოლები, რომლებიც 36 საათს გაგრძელდა. ბრძოლებში მონაწილეობდნენ მოკავშირეთა ტანკები. მოკლულია 11 ინგლისელი ოფიცერი, დაჭრილია სხვადასხვა სამხედრო ხარისხის ოთხი ინგლისელი და ორი ინდოელი.

ბანდ ნგში ინგლისის „სანდერბოლტის" და „მოსკიტოს" მარკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ინდონეზიელთა ძალებს. ჩაჰყარეს ბომბები. 17 ინდონეზიელი წამოყვანილია ტყვედ.

ბულგარეთის სახალხო კრებამ მიიღო თავისი წესდება

სოფია, 22 დეკემბერი. (საკდესი). ბულგარეთის სახალხო კრებამ 18 დეკემბერს პირველი წაკითხვით განიხილა სახალხო კრების წესდების პროექტი.

19 დეკემბერს სახალხო კრებამ მეორე წაკითხვით განიხილა სახალხო კრების წესდების პროექტი კომისიის მიერ შეტანილი ცვლილებებითა და შესწორებებით და ერთხმად მიიღო იგი.

რადესკუ სამართალში მისცეს

ბუქარესტი, 22 დეკემბერი (საკდესი). რუმინეთის რადიო გადმოგვცემს, რომ რუმინეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი გენერალი რადესკუ სამართალში მისცეს საბოტაჟისათვის. რადესკუს ბრალად ედება, რომ გაჰყიდა უძრავი ქონება და არ გადაიხადა კანონით გათვალისწინებული სათანადო გადასახადები. გარდა ამისა, გენერალი რადესკუ საბოტაჟს უწევდა ბინის ქირის კანონს.

საფრანგეთის დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილება

ლონდონი, 22 დეკემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის დამფუძნებელმა კრებამ 21 დეკემბერს ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მთავრობას წინადადება ეძლევა გერმანიისა და ავსტრიის ოკუპაციის საფრანგეთის ზონებში გაჰგზავნოს პარლამენტის კომისია იმისათვის, რომ ადგილობრივ შეამოწმოს ხმები, რომელთა თანახმადაც საფრანგეთის ადმინისტრაცია ამ ზონებში არაეფექტიანია.

დარლანის მოკვლის გამო

ნიუ-იორკი, 24 დეკემბერი. (საკდესი). ნიუ-იორკის რადიო გადმოგვცემს, რომ ფრანგი დე ლა შაპელი, რომელიც ალჟირში 1942 წლის დეკემბერში ადმირალ დარლანის მოკვლისათვის სასამართლოს განაჩენით სიკვდილით დასაჯეს, ამჟამად სიკვდილის შემდეგ გამართლებულია. ამის საფუძველი იყო აღმოჩენილი დოკუმენტები, საიდანაც სჩანს, რომ ადმირალი დარლანი საფრანგეთის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდა; ხოლო სიკვდილით დასჯილი შაპელი საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის წევრი იყო.

დემონსტრაცია დამასკოში

ბეირუთი, 24 დეკემბერი. (საკდესი). 20 დეკემბერს სირიის დედაქალაქ დამასკოში გაიმართა სტუდენტთა დემონსტრაცია. დემონსტრანტები მოითხოვდნენ სირიის ტერიტორიიდან ინგლისისა და საფრანგეთის მთელი ჯარების დაუყოვნებლივ, უსიტყვო, ერთდროულ და სრულ ევაკუაციას.

დემონსტრაციის დღეს ბაზრები დახურული იყო.

გერმანელები და იაპონელები—„ვატიკანის სტუმრები"

ლონდონი, 23 დეკემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ვატიკანთან გერმანიის ყოფილი საელჩოს წევრები იქვე რჩებიან „საპატიო სტუმრების" სახით, რომელთაც დაჰკარგეს დიპლომატიური სტატუტი მას შემდეგ, რაც „გერმანიის მთავრობა აღარ არსებობს". ოფიციალური პირები იაპონიის დახურული საელჩოს შემადგენლობიდან აგრეთვე რჩებიან ვატიკანთან სტუმრების სახით და ინარჩუნებენ თავიანთ დიპლომატიურ სტატუტს.

ნ. ი. ლუკიანოვმა ელექტროტექნიკოსის სპეციალობა წითელ არმიაში მიიღო. დემობილიზაციის შემდეგ იგი დაბრუნდა იაროსლავლის ოლქის ბორისოგლებსკის რაიონში, კალინინის სახელობის თავის მშობლიურ კოლმეურნეობაში და გამოიყენა თავისი ცოდნა; იგი აქტიურად დაეხმარა კოლმეურნეობას 25 კილოვატი სიმძლავრის ჰიდრო-ელექტროსადგურის აგებასა და ამუშავებაში. ამჟამად ამხ. ლუკიანოვი ელექტროსადგურს განაგებს. სადგური შეუფერხებლად მუშაობს. სურათზე: ნ. ი. ლუკიანოვის დახმარებითა და მონაწილეობით აგებული საკოლმეურნეო ელექტროსადგურის საერთო ხედი.

ფოტო მ. კოროლიოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

საქართველოს მოჭადრაკეთა ჩემპიონატი

მეხუთე ტური

მეხუთე ტურში პირველი დამარცხება განიცადა ტურნირის ლიდერმა კაკაბაძემ, რომელმაც წააგო სერედასთან. პეტროსიან-ნერსესოვის პარტია გადადებულია პირველისათვის მოსაგებ მდგომარეობაში. კაკიაშვილმა გამარჯვება მოიპოვა ტარსაიძესთან. ცინცაძემ მოიგო ქეჲ ტრიპოლიტოვთან. სოროკინმა დასაწყისშივე მოუგო პაიკა გასცვლს და შემდეგ პარტიაც. ფალავანდიშვილმა წააგო გიორგაძესთან. ფხალაძემ სუსტად გაითამაშა დებიუტი არუთინოვთან და დამარცხდა. მალაშხიას და აგამალიანის პარტია გადაიდო პირველისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

მეექვსე ტური

დაახლოებით თანასწორ მდგომარეობაში მალაშხიამ საუკეთესოდ გამოიყენა სოროკინის სუსტი სვლა, ორი ფიგურის შეწირვით გამორიცხა მოწინააღმდეგის მეფე დაფის შუაგულში და დაამათა. პეტროსიან-ფალავანდიშვილის და ნერსესოვ-არუთინოვის პარტიები ყაიმით დასრულდა. სერედამ მორიგი გამარჯვება მოიპოვა ტარსაიძესთან. ქეჲ ტრიპოლიტოვი დამარცხდა გიორგაძესთან. რთული და საინტერესო თამაშის შემდეგ ცინცაძე-კაკაბაძის პარტია დასრულდა ცინცაძის გამარჯვებით. ფხალაძემ გასცვლ მოუგო ჯერ ხარისხი, შემდეგ ფიგურა და მალე პარტიაც. კაკიაშვილის და აგამალიანის პარტია გადაიდო პირველისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

ექვსი ტურის შემდეგ წინ არიან სერედა — 5, არუთინოვი — 4½, ცინცაძე — 4 (2 გადადებული).

ხელოვნების ქრონიკა

„ცუგრუმელა"

26 დეკემბერს მუსიკალური კომედიის თეატრი მაყურებელს უჩვენებს ერვეს ცნობილ ოპერეტას — „ცუგრუმელა" („ნიტუში").

ოპერეტა დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. ძნელაძემ, ქორეოგრაფია ვ. გამსახურდიასი, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ირ. შტენბერგს.

როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ე. ციმაკურიძე, ბ. ნუჩელაშვილი, მსახიობები ნ. თულაშვილი, ქ. კობახიძე, ა. მეწელიშვილი, ე. სალარიძე, დ. ესებუა.

„ქამთაბერის ასული"

სიღნაღის სახელმწიფო თეატრმა 1945-46 წლის სეზონი გახსნა მ. ჯაფარიძის პიესით „ქამთაბერის ასული". სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ს. მებურიშვილმა, მუსიკალური მონტაჟი ეკუთვნის გრიგოროვს, მხატვრული გაფორმება — გ. ნადირაშვილს. როლები შეასრულეს ს. ბაშინჯაღოვმა, რ. აბრამოვმა, მ. ნადირაძემ, ნ. ზალდასტანიშვილმა, გ. ღენისაშვილმა და ქ. ჭრელაშვილმა და სხვებმა.

სპექტაკლი წარმატებით ჩატარდა.

„ტირიფის ქვეშ"

აბაშის სახელმწიფო თეატრის სეზონი გახსნა გ. ბერძენიშვილის პიესით „ტირიფის ქვეშ". პიესა დადგა რეჟისორმა ვ. მჭედლიძემ, მხატვრულად გააფორმა ახალკაციშვილმა. სპექტაკლში განსაკუთრებულ წარმატება ხვდათ მსახიობებს: ვ. ბერიას (ბუპა), ა. დათეშაშვილს (მარინე), მ. თევზაძეს (ცეცინო).

მოხსენება

25 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიულ სკოლაში, პოლიტიკურ ეკონომიის კათედრის საჯარო სხდომაზე დოცენტი **დ. ენუქიძე** გააკეთებს მოხსენებას თემაზე: **„საბჭოთა კავშირის ეკონომიური გამარჯვება დიდ სამამულო ომში"**.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში მორიგი მეცადინეობა შესდგება ოთხშაბათს, 26 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტის შენობაში (ლენინის ქ. № 41).

28 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალში შესდგება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ლექტორთა მუდმივ მოქმედი სემინარის მორიგი მეცადინეობა. შესავალ ლექციას წაიკითხავს დოცენტი **ს. სიმონგულოვი** თემაზე: **„ბოლშევიკების ტამერფორსის კონფერენციის ისტორიული მნიშვნელობა"**.

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ლექტორთა დასწრება სავალდებულოა.

ლექცია

28 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში (საბჭოს ქუჩა № 134) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა"**.

ბილეთების შეძენა შეიძლება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში და კლუბის სალაროში.

სემინარი

25 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება"**.

სემინარს უხელმძღვანელებენ ამხ. **ართილაყვა** (ქართულ ენაზე) და ამხ. **აზატიანი** (რუსულ ენაზე).

კონსულტაცია

25 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის პარტკაბინეტში შესდგება ამხ. **ქადეიშვილის** ინდივიდუალური კონსულტაცია სსრ კავშირის ისტორიაში.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა — 25/XII — „ტრავიატა", 26/XII — „დარეჯან ცბიერი". **რუსთაველის სახელობის** — 25/XII — „ტირიფის ქვეშ", 26/XII — „დიდი ხელმწიფე". **მარჯანიშვილის სახელობის** — 25/XII — „ფიქრის გორა", 26/XII — „უმზითვო". **გრიბოედოვის სახელობის** — 25/XII — „ტყე". 26/XII — „თვითმფრინავი დღე-ღამეს იგვიანებს". **მუსიკალური კომედიის**—26/XII — „ცუგრუმელა". **სანკულტურის** — 25/XII — „სევდიანი რომანი".

კინოებში

25 დეკემბერს: რუსთაველის სახელობის— „ტახარი და ზუხრა" (კინო-ჟურნალი „ჩელსი" —„დინამო"). **ოქტომბერი** და **დამკვრელი** — „ტახარი და ზუხრა". **კომკავშირელი** — „უკვდავი კაშჩეი". **სპარტაკი** — „არშინ-მალ-ალან". **ლუქსემბურგის სახელობის** — „გაზაფხულის ვალსი" (კინო-ჟურნალი „ჩელსი" — „დინამო"). **26 კომისრის სახელობის**—„სრულიად საკავშირო ფიზკულტურული პარადი". **ოფიცერთა სახლი** — „სიმღერა რუსეთზე".

საქართველოს სს რესპუბლიკის შინსახკომის გასამხედროებული სახანძრო დაცვის თბილისის საქალაქო სამმართველო აცნობებს ქალაქის ყველა საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებსა და მოქალაქეებს, რომ **საახალწლო ნაძვის ხის** გამართვის დროის ინსტრუქცია და ნაძვის ხის გამართვის ნებართვა უნდა მიიღონ საქართველოს სს რესპუბლიკის შინსახკომის გასამხედროებული სახანძრო დაცვის თბილისის საქალაქო სამმართველოს რაიონული სახანძრო ინსპექციებისაგან.

ამ წესის დამრღვევნი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 13 აგვისტოს № 1364 დადგენილების საფუძველზე.

საქართველოს სს რესპუბლიკის შინსახკომის გასამხედროებული სახანძრო დაცვის თბილისის საქალაქო სამმართველო

მოქალაქე **ლუსია არკადის-ასულმა აკოფოვამ**, მცხოვრებმა გუდაურის შესახვევი № 2, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ვარლამ არშაკის-ძე მუკლიანთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოში.

მოქალაქე **თამარ ნიკოლოზის-ასულმა ნემსაძემ**, მცხოვრებმა პლეხანოვის პროსპექტი № 35, აღძრა საქმე ბრძოლის ქ. № 39 მცხოვრებ მოქალაქე **ვიქტორ ფრანცის-ძე ზუნტიკთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის სტალინის რაიონის 1 უბნის სახალხო სასამართლოში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნო—3 06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3 81 84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81. სტამბის დირექტორის—3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 09822